ნომრის მთავარი თემა:

ჯაშუშები სხვებს ნათლავენ ჯაშუშებად!

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭდვის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

სამშაბათი, 20 მარტი. 2018 წ. №56 (8457), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ნაპოლეონ ქარქაშაძე:

ხელისუფალნო, ყური მიუგდეთ ინტელექტუალურ აზრს! ③

არჩილ იოსელიანი:

რუსეთის ④ ჯაშუშებს გაზეთის ფურცლები არ უნდა ეთმობოდეთ!

ჰამლეტ ჭიპაშვილი:

ე.წ. პატრიოტების გასაგონად: ვინ არის ეგ ეკა ბიგაური, აქაური თუ იქაური?!. ⑤

ვადიმ ანასტასიადი:

ევროპაში – სხვისი გვარით და ⑥ სახელით!

გაცხადდა „რუსთავი 2“-ის კავშირი სატანასთან...



„რუსთავი 2“-თან „ქართული მარშის“ წევრები დააკავეს

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-თან „ქართული მარშის“ აქციაზე სამართალდამცველებმა სამი პირი დააკავეს. აქცია ტელეკომპანიასთან ფიზიკური დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა. აქციის მონაწილეები გადაცემა P.S.-ში გიორგი გაბუნიას მიერ გაკეთებულ განცხადებას აპროტესტებენ, რომელიც მან იესო ქრისტესთან დაკავშირებით გააკეთა.

აქციის მონაწილეები ჟურნალისტისგან ბოდიშის მოხდას მოითხოვდნენ.

ისინი გიორგი გაბუნიას ტელეკომპანიის შენობაში შესვლის შესაძლებლობას არ აძლევდნენ. „ქართული მარშის“ წევრებმა შეურაცხყოფა მიაყენეს ტელეკომპანიის რამდენიმე ჟურნალისტს.

სამართალდამცველებმა შენობის შესასვლელი ცოცხალი ჯაჭვით გადაკეტეს და მდგომარეობა განიმუხტა.

* * *

„რუსთავი 2“-ის შენობასთან შეკრებილმა ლადო სადღობელაშვილმა და ე.წ.-მა „ქართული მარშის“ წევრებმა ალყაში მოაქციეს მანქანა, რომლითაც გიორგი გაბუნია და ტელეკომაპანიის იურისტი თამთა მურადაშვილი გადაადგილდებოდნენ და უკანონოდ აღუკვეთეს მათ თავისუფლება.

შეკრებილებმა დააზიანეს ავტომობილი, რომელშიც გაბუნია და მურადაშვილი იმყოფებოდნენ. გარდა ამისა, თავდასხმა მოხდა „კურიერის“ ჟურნალისტზე დავით ერაძეზე. ადგილზე იმყოფებოდა სასწრაფო დახმარების სამსახურიც, რომელმაც დაშავებულს პირველადი დახმარება აღმოუჩინა.

„ქართული მარშის“ წევრები „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტების დაკავებას ითხოვენ

„ქართული მარშის“ ერთ-ერთი ლიდერი სანდრო ბრეგაძე, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტების დაკავებას ითხოვს.

გარდა ამისა, ბრეგაძე მოითხოვს, დააკავონ ჟურნალისტი გიორგი გაბუნია, რომელმაც ბრეგაძის მტკიცებით, აქციის მონაწილეებზე „ავტომობილით გადავლა„ სცადა.

„გიორგი გაბუნიამ იცოდა, რომ ხუთის ნახევარზე „რ 2“-თან ახალგაზრდები აპირებდნენ შეკრებას, ამიტომ ის ზუსტად ხუთის ნახევარზე გამოვიდა სამსახურის ეზოდან და მანქანით აპირებდა ამ ახალგაზრდებზე გადავლას“.

საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა ბრეგაძეს განუცხადა, რომ მან ფიზიკური შეურაცხყოფის შესახებ სამართალდამცავ ორგანოს ოფიციალური განცხადებით უნდა მიმართოს. საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა პოლიციის განყოფილებაში აქციის ერთ-ერთი მონაწილე გადაიყვანა, რომელმაც განაცხადა, რომ ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩვენებას მისცემს.

გვარამიას ბოდიში და საყვედური გაბუნიას!

გადაცემა P.S.-ის წამყვანს გიორგი გაბუნიას კვირას გადაცემის მსვლელობისას იესო ქრისტესთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადების გამო, საყვედური გამოეცხადა. ამის შესახებ განცხადება, სამაუწყებლო კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ გააკეთა.

ნიკა გვარამიას თქმით, შეიკრიბა შიდა ეთიკის საბჭო, რომელმაც ჩათვალა, რომ გაბუნიას მიერ გაკეთებული განცხადება ლახავდა მორწმუნეთა გრძნობებს. გვარამიამ მორწმუნეებს ბოდიში მოუხადა.

აქვე იურისტმა და ჟურნალისტური ეთიკის „დამცველმა“ გვარამიამ მუქარისა და „ზეწოლის“ კორიანტელი დააყენა:

საქართველოს ხელისუფლებას ვაფრთხილებ (!!!), არა მხოლოდ ჟურნალისტ გიორგი გაბუნიას, რომელიმე თანამშრომელს „რუსთავი-2“-ის, ნებისმიერი ზემოქმედების, ერთი ღერი თმის ჩამოვარდნაზეც, პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება საქართველოს ხელისუფლებას.

„დღეიდან მათ მართებთ, უფრო სერიოზულად მიუდგნენ საკითხს და მეტი პასუხისმგებლობით ჩვენც და საზოგადოებას დაუდასტურონ, რომ ხელისუფლების მხრიდან ეს ძალა არ არის მართული. თუ ეს ადამიანები უმკაცრეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიეცნენ და არ მოხდა მათი იზოლაცია საზოგადოებიდან, ჩვენ უფლებას ვიტოვებთ, ჩავთვალოთ, რომ ეს ძალა მართულია საქართველოს ხელისუფლების მიერ!..

გვარამია საერთაშორისო ორგანიზაციებს, დიპლომატიურ კორპუსს, მესამე სექტორს, პოლიტიკურ ძალებს და მოსახლეობას მიმართავს: **„ჩვენი ტელეკომპანია დგას ანგარიშსწორების რისკის წინაშე რუსეთიდან მართული და დაფინანსებული ძალების მხრიდან. მოგიწოდებთ, გააკეთოთ ყველაფერი, რაც თქვენ ძალებში შედის, რათა დაცულ იქნას ჩვენი უსაფრთხოება და ჟურნალისტური თავისუფლება“!..**

აი, ასეთი მოჩვენებები აწუხებს „ეთიკურად“ არეულ გვარამიას. ის კი ავიწყდება, რომ მისი „მთავარი“ ჯოჯოხეთური არხი სატანასთან არის შეკრული!



საგარეო საქმეთა კომიტეტმა ტატუნაშვილი-ოთხოზორიას სიის შექმნას მხარი დაუჭირა

პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტმა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების დარღვევისა და ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის შესახებ რეზოლუცია მიიღო.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია „ნაციონალურ მოძრაობას“. პარტიაში თვლიან, რომ დოკუმენტი საკმარისად მკაცრი არ არის და ადეკვატურად არ ასახავს ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთის არაკანონიერ ქმედებებს. აქედან გამომდინარე ჯერ ცნობილი არ არის, დაუჭერს თუ არა მხარს საბოლოოდ რეზოლუციას „ნაციონალური მოძრაობა“ და ასევე „პატრიოტთა ალიანსი“.

რეზოლუციის ტექსტში კი შესაძლოა, ცვლილებები შევიდეს. უმრავლესობის ლიდერმა დააყენა ინიციატივა, რომ რეზოლუციას გიგა ოთხოზორიას და არჩილ ტატუნაშვილის გარდა დავით ბაშარულთან დაკავშირებული ჩანაწერი დაემატოს. არჩილ თალაკვაძე ასევე გამოდის ინიციატივით, ტექსტში სიტყვა „მკვლელობა“ „სიცოცხლის ხელყოფით“ შეიცვალოს.

მოხარული ვარ, რომ მოვახერხეთ ერთიანი ტექსტის შემუშავება

„მოხარული ვარ, რომ ჩვენ მოვახერხეთ ერთიანი ტექსტის შემუშავება, სადაც ძალიან ნათლად არის დაფიქსირებული ჩვენი პოზიცია იმ უსამართლობასთან დაკავშირებით, რომელიც ხდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე,“ — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ რუსეთის წინააღმდეგ შემუშავებული ერთიანი რეზოლუციის შეფასებისას.

„ხელისუფლება აქტიურად მუშაობს იმაზე, რომ სამართალი აღსრულდეს იმ პირთა მიმართ, რომლებსაც აქვთ ჩადენილი დანაშაული, აღსრულდეს სამართალი ასეთ პირთა მიმართ. ამის გამოხატულებაა, ის, რომ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა გიგა ოთხოზორიას მკვლელის მიმართ და შესაბამისი სასჯელიც არის შეფარდებული, საერთაშორისო ძებნა არის გამოცხადებული. მუშაობა ამაზე არის დაწყებული და სია მოგვცემს იმის საშუალებას, რომ კიდევ უფრო აქტიურად მივიღოთ პრევენციული ზომები ჩვენი მოქალაქეების ინტერესების დასაცავად,“ — განაცხადა კობახიძემ.

გარკვეული იმედგაცრუება ჟენევის მოლაპარაკებებთან დაკავშირებით...

აშშ-ის ელჩი საქართველოში აცხადებს, რომ ყველა ხედავს, რომ არსებობს გარკვეული იმედგაცრუება ჟენევის მოლაპარაკებებთან დაკავშირებით და აშშ გამოხატავს მხარდაჭერას საქართველოს მთავრობის მიმართ, როდესაც მას აქვს სურვილი, ეს ფორმატი უფრო ნაყოფიერი გახადოს.

„ჩვენ დაველოდებით საქართველოს მთავრობისგან მოსაზრებას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ამერიკის შეერთებული შტატები დაეხმაროს ამ ფორმატის უფრო პროდუქტიულ ფორმატად გარდაქმნაში“, — აღნიშნა იან კელიმ.

რუსული ტელეარხისთვის 1 მილიონი გადაიხადეს?!

საპარლამენტო უმცირესობა უმრავლესობას მოუწოდებს, დაინტერესდეს იმ ინფორმაციით, რომლის მიხედვითაც, სარეკლამო კამპანიის მიზნით, საქართველოს მთავრობა ტელეარხ „რასია 1“-სთვის 1მილიონი დოლარის გადახდას აპირებს. გიგა ბოკერიამ პასუხისმგებლობა ეკონომიკის მინისტრს დააკისრა: **„უმრავლესობა და კომიტეტი ამ საკითხით უნდა დაინტერესდეს. ჩვენ დიდი ხანია, პარლამენტში ეკონომიკის მინისტრს ველით, რომელიც პასუხისმგებელია, ჩემი აზრით, ამ სკანდალურ გადაწყვეტილებაზე. ამიტომ მოგიწოდებთ, ყოველგვარი პოლიტიკური სპეკულაციის გარეშე ვიმუშაოთ ერთად, რომ ეს საკითხი აღვკვეთოთ, რადგან ეს ეწინააღმდეგება არა მხოლოდ მომზადებული რეზოლუციის სულისკვეთებას, არამედ ქვეყნის ფუნდამენტურ ინტერესებს“,** — განაცხადა ბოკერიამ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე.

მამუკა ბახტაძემ ახალი საგადასახადო ინიციატივა თელავში წარადგინა

19 მარტს ქალაქ თელავში საქართველოს ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მცირე მეწარმეებისთვის შემუშავებული ახალი საგადასახადო ინიციატივა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს გააცნო.

„საქართველოს რეგიონებში მიმდინარე საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში ჩვენ დღეს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს ახალი საგადასახადო ინიციატივა თელავში გავაცანით. ჩვენ მათგან მოვისმინეთ დამატებითი რეკომენდაციები, თუ როგორ შეიძლება კიდევ უფრო დავხვეწოთ ახალი საგადასახადო რეფორმა. რა თქმა უნდა კახეთისთვის აღნიშნულ ინიციატივას ძალიან დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, როგორც მოგეხსენებათ ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმმა მნიშვნელოვნად წაახალისა მეღვინეობა, ამის გარდა ვხედავთ ტურისტების გაზრდილ ნაკადს და შესაბამისად კახეთს აქვს ძალიან კარგი პოტენციალი, რომ კიდევ უფრო განვავითაროთ აქ მცირე და საშუალო ბიზნესი,“ — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

ახალი საგადასახადო ინიციატივა ითვალისწინებს დაბეგვრის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის შემოღებას, რომელიც შეეხება 120,000-მდე მეწარმე ფიზიკურ პირს. ახალი ინიციატივის შესაბამისად, მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭებათ მეწარმეებს, რომელთა ერთობლივი შემოსავალი წლის განმავლობაში იქნება 500,000 ლარამდე, ხოლო მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი დაიბეგრება მინიმალური, ერთობლივი შემოსავლის 1%-იანი გადასახადით.

ახალი საგადასახადო რეფორმა უზრუნველყოფს სექტორის უფრო მეტ გამჭირვალობას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მცირე მეწარმეებს უფრო მეტად ჰქონდეთ წვდომა ფინანსურ რესურსებზე. შემოთავაზებული ცვლილებები მნიშვნელოვანი სტიმული იქნება მცირე ბიზნესის შემდგომი განვითარებისთვის საქართველოში.

ორი მინისტრი ფაროსანას ერთობლივად შეებრძოლება

გარემოს **დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრთან ზურაბ ალავიძესთან ერთად დასავლეთ საქართველოში აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების მიმდინარეობას გაეცნენ. სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით სამეგრელოს რეგიონში ასევე იმყოფებოდნენ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე და ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ავთანდილ მესხიძე.**



აბაშის მუნიციპალიტეტში არსებულ მავნებლის საწინააღმდეგო საკოორდინაციო შტაბში გაიმართა გაფართოებული შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ დანელია, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიისა და იმერეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულები. საკოორდინაციო შტაბი ზედამხედველობას უწევს ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას.

აგრეთვე დაათვალიერეს რეგიონში მობილიზებული სპეციალური ტექნიკა, რომელიც სხვადასხვა მუნიციპალიტეტში გადანაწილდება. მიმდინარე წელს, სულ, ქვეყნის მასშტაბით, მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებისთვის 140 ერთეული სპეციალური ტექნიკის გამოყენებაა დაგეგმილი. წელს მავნებლის წინააღმდეგ სახელმწიფო განახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე, ასევე კერძო სავარგულებზე სადაც აუცილებელია სპეციალიზირებული ტექნიკის გამოყენება.

მინისტრმა ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, რომ 2018 წლის სტრატეგიის შესაბამისად ყველა რესურსია მობილიზებული იმისათვის რომ მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებები დროულად და ეფექტიანად ჩატარდეს. **„აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო კამპანია აქტიურ ფაზაში გადავიდა. უკვე ფუნქციონირებს საკოორდინაციო შტაბი დასავლეთ საქართველოში. მობილიზებულია სრულიად სპეცტექნიკა და მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ფიტოსანიტარიული შესაძლებლობები 2017 წელთან შედარებით, რისთვისაც, სახელმწიფომ მნიშვნელოვანი დაფინანსება გამოყო. 100-ზე მეტი ეკიპაჟი იმუშავებს იმისთვის, რომ ჩვენი ღონისძიებები იყოს მაქსიმალურად ეფექტიანი. ყველა ინფორმაცია თავს იყრის შტაბში და გადამუშავების შემდეგ იგეგმება საველე სამუშაოები. დასავლეთ საქართველოში იმუშავებს ხუთი საველე შტაბი, რომელთაც კოორდინაციას გაუწევს აბაშის მუნიციპალიტეტში არსებული საკოორდინაციო შტაბი. ამავე დროს, უკვე დავიწყეთ საველე მონიტორინგის სისტემის განთავსება, რომელიც მთელს ტერიტორიას მოიცავს და 100 ათასი წერტილიდან მოხდება მონაცემების მიღება, რათა მავნებლის გავრცელებისა და პოპულაციის შესახებ გვქონდეს ოპერატიული ინფორმაცია“,** — განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მიზნით , აჭარის რეგიონს, 20 ათასი ლიტრი პრეპარატი და 2 ათასი ფერომონი გადაეცემა. ქიმიური ღონისძიებები მონიტორინგის შედეგების მიხედვით დაიგეგმება. მონიტორინგის სისტემები, მთელი ქვეყნის მასშტაბით როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში განთავსდება. ფერომონების დამონტაჟება უკვე დაიწყო დასავლეთ საქართველოში. პროცესის მიმდინარეობას ხობის მუნიციპალიტეტში ადგილზე გაეცნო მინისტრი ლევან დავითაშვილი.

მომისმინეთ!

ხელისუფალნო, ყური მიუგდეთ ინტელექტუალურ აზრს!

პრემიერ-მინისტრმა სწორი და გაბედული ნაბიჯი გადადგა



დიახ, ბატონი კვირიკაშვილის განცხადება იყო ბრძნული, საქართველოში შექმნილი აბსურდული პოლიტიკური სიტუაციის ჩიხიდან გამოსვლის ყველაზე გონივრული მიმართულება.

2000 წლის დასაწყისში თბილისში პრეზიდენტ შევარდნაძესთან შესახვედრად აფხაზეთის დე ფაქტო პრემიერ-მინისტრი სერგეი ბაღაფში ჩამოვიდა. მას სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული, რომლის რექტორიც იმხანად მე ვიყავი და მის კარიერულ წინსვლაში გარკვეული წვლილიც მიმიძღვოდა. მაშინ ჩემი მეუღლე ახალი გარდაცვლილი იყო და ბაღაფში (დათო ფილიასთან ერთად) სახლში სამძიმრის სათქმელად მეწვია. ცხადია, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებსაც შევეხეთ.

— ქართველებისა და აფხაზების მომავალი თანაცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი საერთო ეკონომიკური ინტერესებია — აღნიშნა ბაღაფშმა და შემდეგ გულდაწყვეტილმა გააგრძელა, რომ „შევარდნაძემ ამ საკითხების განხილვას რატომღაც თავი აარიდა"..

რექტორთა საბჭოს მორიგი სხდომის დამთავრების შემდეგ, რომელიც პრეზიდენტთან არსებული ორგანო იყო და კანცელარიაში ტარდებოდა, ბატონ შევარდნაძეს მე დარჩენა ვთხოვე და მას ბაღაფშთან საუბრის შინაარსი გავაცანი: „სხვა საკითხებთან ერთად, მან რკინიგზის გახსნაზე გაამახვილა ყურადღება და თქვა, რომ ეს საკითხი აფხაზებისთვისაც და ქართველებისთვისაც, ალბათ, ყველაზე პრიორიტეტული უნდა იყოს!" — ვუთხარი მე.

პრეზიდენტი შეიშმუშნა, აშკარა იყო, რომ კითხვა მაინცდამაინც არ ესიამოვნა.

— რაც ბაღაფშმა თქვა, სწორია, ყველა დროსა და ფორმაციაში ეკონომიკა განსაზღვრავს პოლიტიკას, მაგრამ ამ საკითხის გაგონებაც კი არ სურთ არამარტო ოპოზიციას და არასამთავრობოებს, არამედ ზოგიერთ მთავრობის წევრსაც კი. მე ცხადია, მათ შემოტევებს ვერ გავუმკლავდები — თქვა მან.

იმხანად ქართულ-აფხაზური ურთიერთობა ასეთი გამწვავებული არ იყო, როგორც დღეს. მიუხედავად ამისა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მაშინაც ვერ გაბედა აღნიშნული საკითხის დაყენება, კვირიკაშვილმა კი, მიუხედავად იმისა, რომ, ალბათ, იცის საზოგადოების უარყოფითი რეაქციის შესახებ, გაბედა და სწორად მოიქცა.

ბრმა და უვიცი უნდა იყო, რომ ვერ გაიაზრო, დამოუკიდებელი საქართველოს მომავალში ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც რუსეთს აქვს. ეს უკიდეგანო ზესახელმწიფო ჩვენი უშუალო მეზობელია და ამ ერთან ურთიერთობა თამარ მეფის დროიდან მოდის. რუსეთი ის ქვეყანაა, რომელიც მსოფლიოს გლობალური პრობლემების ეპიცენტრშია და რომლის ბირთვულ არსენალსაც შეუძლია (ღმერთმა არ ქნას), დედამიწა თავის ორბიტასაც კი მოსწყვიტოს. სამწუხაროდ, საქართველოში ბლომად არიან ისეთი პოლიტიკოსები, მათ შორის, ალბათ, სამთავრობო გუნდშიც, რომლებიც რუსეთის ფაქტორს ცინიკურად და აგდებით უყურებენ. სამწუხაროდ, ისინი ვერ გრძნობენ ან შეგნებულად ფარავენ იმ საფრთხეს, რომლის წინაშეც შეიძლება დადგეს საქართველო. როგორ შეიძლება, ასეთი დიდი ქვეყანა შენი უშუალო მეზობელი იყოს, შენი ტერიტორიის 20 პროცენტი მიტაცებული ჰქონდეს და შენ მასთან უშუალო დიალოგს გაურბოდე. რუსეთი რომ საქართველოში ნატოს ბაზების განლაგებას არ დაუშვებს, ეს ქართველების გარდა, ყველას ესმის, მათ შორის, ნატოს ხელმძღვანელობასაც, არც ამერიკა მოიკლავს თავს იმისათვის, რომ საქართველოს პრობლემების მოსაგვარებლად რუსეთს ომი დაუწყოს, ამიტომაც გვიჭიანურებს ნატოში შესვლას და, ალბათ, არც არასოდეს მიგვიღებს. საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, უნდა გაერთიანდეს ყველა ეკონომიკურ კავშირში, რომლებიდანაც გონივრული პოლიტიკის გატარების შედეგად შესაძლებელი იქნება სარგებლის მიღება, მას სამხედრო ხასიათის კავშირები არ სჭირდება, ვინაიდან ასეთმა კავშირებმა შეიძლება იგი გამოუსწორებელ შედეგებამდე მიიყვანოს.

და კიდევ ერთი: მალე ვადა დაუმთავრდება ყარსის ხელშეკრულებას, რომლის ერთ-ერთი გარანტორიც რუსეთი გახლავთ. როგორ ფიქრობთ, თუ რუსეთთან სიტუაციები არ დალაგდა, ყარსის ხელშეკრულებას რა ბედი ეწევა? რთული წარმოსადგენი არ უნდა იყოს... აჭარაში მომძლავრებული ისლამი რომ კარგის მომასწავებელი არაა, ეს უკვე რეალობაა. ასეთ სიტუაციაში რუსეთთან ურთიერთობების დამძიმება პოლიტიკური სიბეცეა. სამწუხაროდ, საქართველოს ბევრი მტერი ჰყავს და მათ შორის ყველაზე საშიში შინაურია, რომელიც არაფერს ერიდება ხელისუფლებაში მოსასვლელად და არად დაგიდევს ქვეყნისა და ერის ინტერესებს.

ბატონი გიორგი, კვირიკაშვილის გასაგონად: ქვეყნის აკადემიური საზოგადოება, რომელსაც მეც წარმოვადგენ, სწორ შეფასებას აძლევს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, ზოგი რამ მოგვწონს, ზოგიც — არა, თუმცა, ჩვენი ხმა ხელისუფლებამდე, ალბათ, არც მოდის. გულწრფელად, მინდა ვთქვა, რომ, პრემიერის მიერ თამამად გახმოვანებულმა ინიციატივამ რუსეთთან ურთიერთობების დალაგების შესახებ, იმედი გაგვიჩინა, რომ საქართველო არამარტო გადარჩება, არამედ სწორი გზითაც ივლის. საქართველო უნდა გამოვიდეს ილუზიებიდან და ეს განცხადებაც ამის დასტურად აღვიქვით. აქვე მინდა, ვთხოვო ბატონ გიორგის, რომ შეხვდეს იმ ადამიანებსაც, რომლებსაც დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ და რომლებიც საქართველოს განვითარების სწორ ვექტორზე არიან ორიენტირებულები. მიუხედავად ჩემი სამეცნიერო რეგალიებისა და განვლილი გზისა, „ქართული ოცნების" ხელისუფლების პერიოდში მხოლოდ ერთხელ მოვახერხე მთავრობის წევრთან შეხვედრა, ბატონმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მიმიღო და საკმაო ხანსაც მესაუბრა. თუმცა ჩემი პრობლემა, რომელიც მხოლოდ ჩემი ოჯახისთვის არის მნიშვნელოვანი, მაინც ვერ მოგვარდა. სამწუხაროდ, საზოგადოებას აქვს განცდა, რომ დღევანდელ ხელისუფლებაში (მათ შორის, პროკურატურაშიც) არიან ადამიანები, რომლებიც ხელოვნურად აღვივებენ საზოგადოებაში არსებულ უარყოფით მუხტს. ეს კი ძალიან საშიშია. სამწუხაროა ისიც, რომ ხელისუფლება იგნორირებას უკეთებს ინტელექტუალურ აზრს, რომელთა სიბრძნე და გონიერება ძალიან სჭირდება დღეს საქართველოს. ნუ დაუშვებთ ამას.

ამ წერილით მინდა, ჩემს კოლეგებს, საზოგადოების ჯანსაღ ნაწილს მოვუწოდო მეტი აქტიურობისაკენ. მხარი დავუჭიროთ ქვეყნისათვის მნიშვნელოვან სამთავრობო გადაწყვეტილებებს. რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციას საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ეს, ალბათ, უნდა ახსოვდეს ყველას — მთავრობასაც, საზოგადოების ჯანსაღ ნაწილსაც და ეგრეთ წოდებულ ოპოზიციასაც.



ნაპოლეონ ქარქაშაძე,
აკადემიკოსი
ტელ:
577-42-42-97

„ბიურო ვერიტასის" ექსპერტები გუდაურში ვითარების შესწავლას განაგრძობენ

დამოუკიდებელმა უცხოელმა ექსპერტებმა გუდაურში „საძელეს" საბაგიროს სადგურის შესწავლა განაახლეს. სპეციალურად დასკვნის ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ საერთაშორისო კომპანიის „ბიურო ვერიტასის" ექსპერტები საქართველოში მოიწვია. მათ მიერ ობიექტზე მექანიკურ-ტექნიკური მდგომარეობის გაცნობა და ინციდენტის ადგილის დათვალიერება გვიან ღამემდე მიმდინარეობდა.

შესწავლის პროცესში, დამოუკიდებელი ექსპერტული კომპანიის „ბიურო ვერიტასის" ექსპერტების გარდა, მონაწილეობდნენ საქართველოს პროკურატურის გამომძიებლები, სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ექსპერტ-კრიმინალისტები და ასევე უშუალოდ საბაგიროს მწარმოებელი კომპანიის „დოპელმაიერის" წარმომადგენლები. გუდაურში იმყოფება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გენადი არველაძე.

კომპანია „ბიურო ვერიტასს" აქვს საბაგირო ლიფტების შემოწმებისა და ექსპერტიზის, ასევე გუდაურში მომხდარი მსგავსი შემთხვევების ექსპერტული გამოძიების სპეციალური ქვედანაყოფი.

თურქეთიდან საქართველოში სამი თვით კარტოფილის შემოტანა აიკრძალა

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 1 ივნისამდე თურქეთიდან საქართველოში კარტოფილის შემოტანა აიკრძალა, განკარგულებას ხელი პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მოაწერა.

იმპორტის აკრძალვის მიზანი კარტოფილის კიბოს თავისუფალ ტერიტორიებზე გავრცელების თავიდან აცილებაა. მსგავსი დროებითი ღონისძიების ამოქმედებას ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის მე-17 მუხლი ითვალისწინებს. სურსათის ეროვნულ სააგენტოს ცნობით, ეს არის დროებითი ფიტოსანიტარიული ზომა კარტოფილის თესვის სეზონის დასრულებამდე.

ქართულ ავიაბაზარზე კიდევ ერთი „ლოუ-კოსტერი" შემოდის

ქუვეითური დაბალბიუჯეტური ავიაკომპანია „Jazeera Airways" ივნისიდან თბილისის მიმართულებით რეგულარულ რეისებს დაიწყებს. ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" დირექტორმა ქეთევან ალექსიძემ განაცხადა.

ქეთი ალექსიძის თქმით, ავიაკომპანია Jazeera-სთან მოლაპარაკებებს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" 2016 წლის მარტიდან აწარმოებდა. ქუვეითის ავიაკომპანია საქართველოს საავიაციო ბაზარს პერსპექტიულად განიხილავს და დასაწყისისთვის ქუვეითი-თბილისის მარშრუტზე კვირაში სამი სიხშირით ოპერირებას გეგმავს, თუმცა ავიაკომპანიის ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს ფრენის სიხშირის გაზრდას მომავალში. ყურის ქვეყნების მხრიდან საქართველოს, როგორც მნიშვნელოვან ტურისტულ მიმართულებაზე დაინტერესება ბოლო პერიოდში სულ უფრო იზრდება. ქუვეითი-თბილისს შორის მგზავრთნაკადი 2017 წელს 2016 წელთან შედარებით 45%-ით გაიზარდა, ხოლო მთლიანად ყურის არაბული ქვეყნებიდან 53%-ით.

საყდრისში ოპოზიციური პარტიებისა და RMG GOLD-ის წარმომადგენლებს შორის დაპირისპირება მოხდა

საყდრისის ტერიტორიაზე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა და RMG gold-ის წარმომადგენლებს შორის დაპირისპირება მოხდა.

საყდრისში ოპოზიციური პარტიის წევრები აქციის გამართვის მიზეზით ჩავიდნენ. ისინი კომპანიისთვის აუქციონის წესით დამატებით 16 ჰექტარის გადაცემას აპროტესტებენ. დაპირისპირება პარტიების წარმომადგენლების საყდრისის ტერიტორიაზე არშეზღუდვას მოჰყვა.

რუსეთის ჯაშუშებს გაზეთის ფურცლები არ უნდა ეთმობოდეთ!



საერთოდ, ჯაშუშებს სხვადასხვა დავალების შესრულება ეკისრებათ. არიან ჯაშუშები, რომელთაც ევალებათ ხიდების აფეთქება, სამხედრო ბაზებიდან საიდუმლო დოკუმენტების მოპარვა, ხელისუფლებაში მაქინაციების მეშვეობით რაიმე თანამდებობის მიღება და შემდგომ სახელმწიფო საიდუმლოების მიღება. მაგრამ ყველაზე საშიშნი არიან ის ჯაშუშები, რომლებიც ხალხში პროპაგანდას ეწევიან, ჩვენს შემთხვევაში, რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკის სასარგებლოდ.

იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს, როდესაც ქვეყნის რომელიმე გაზეთი ზემოხსენებულ ჯაშუშებს გაზეთის ფურცლებს უთმობს. მით უმეტეს ისეთი გაზეთი, როგორიც „საქართველოს რესპუბლიკაა“. ცნობილია, რომ ეს გაზეთი დაარსებულია 1918 წელს და გამოხატავდა იმჟამინდელი ხელისუფლების პოლიტიკას: სწორედ ნოე ჟორდანიამ დაამკვიდრა გამონათქვამი – „რუსეთუმე“; სწორედ 1921 წლის თებერვალში წითელი არმიის დივიზიები შემოესია საქართველოს და დაიპყრო იგი; სწორედ სტალინმა განაცხადა ოფიციალურად გაზეთ „პრავდის“ მეშვეობით, როდესაც საქართველოს მთავრობამ პარიზის სამშვიდობო კონფერენციას 1919 წლის 14 მარტს გაუგზავნა წერილი, სადაც მთავრობა მოითხოვდა ამ წერილში აღნიშნულ საზღვრებში საქართველოს ტერიტორიის აღიარებას, თითქოს საქართველოს სურს თურქეთის და სხვა მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიების მიტაცება. ჩემი თუ არ გჯერათ, წაიკითხეთ სტალინის თხზულებათა მე-5 ტომი. ამის შესახებ იქ წერია. საერთოდ, ეს ტომი მთლიანად ქართველების ლანძღვა-გინებით არის გაჯერებული.

ქართველი ხალხი იმასაც კი აცნობიერებს, რომ რუსეთმა განიზრახა ქართველი ხალხის დაჩქარებული წესით ასიმილაცია. ამის ნათელი დადასტურებაა ჩვენს ტერიტორიაზე უცხოტომელების მასობრივი ჩამოსახლება. განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოში. გავიხსენოთ თუნდაც ყარსის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით საქართველოს ჩამოეჭრა დაახლოებით 20 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია და ბოლშევიკებმა იგი გადასცეს მოსაზღვრე სახელმწიფოებს. არაფერს ვამბობთ ქართული ენის აკრძალვასა და სამაჩაბლოს სამხრეთ ოსეთად გარდასახვაზე, რაც უშუალოდ სტალინის მეშვეობით განხორციელდა.

სწორედ ამ სისაძაგლის სიკეთედ სურთ წარმოჩენა რუსეთის აშკარა ჯაშუშებს – მხეიძეს, ჭიპაშვილს და ლეჟავას: ვიმეორებ, ხსენებული პირები რუსეთუმეები კი არ არიან, არამედ სახელდებული ჯაშუშები. მათი ნაწერების წაკითხვას თუ მოვისურვებთ, ჩემს გამონათქვამის სისწორეში იოლად დარწმუნდებით.

კაცობრიობამ არ იცის იმის მაგალითი, რომ თუნდაც იმ სახელმწიფოს მოქალაქე საკუთარ ხელისუფლებას ისე აქებდეს და ადიდებდეს, როგორადაც მხეიძე რუსეთს და პუტინს აქებს!

ჭიპაშვილი და ლეჟავა. ჭიპაშვილს ჯაშუშობის დიდი გამოცდილება აქვს, როდესაც ის აჭარის მაშინდელ ხელისუფლებას ლაქიად დაუდგა და მის ნებისმიერ დავალებას „პირნათლად“ ასრულებდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასლან აბაშიძე აშკარა სეპარატიზმის გზას რომ არ დადგომოდა, სააკაშვილი ხელისუფლებაში ვერ მოვიდოდა. მან ხელზე დაიხვია – შევარდნაძე აშკარა სეპარატისტს თითქოს ვერ ამჩნევს და საჭიროა მისი გადაყენება, რათა საქართველოს შემდგომი დანაწევრება შეჩერდესო.

მე, რასაკვირველია, რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების მომხრე ვარ, მაგრამ არა ჯაშუშების დონეზე.

საყოველთაოდ, ჯაშუშები მალულად მოქმედებენ, ვინაიდან იციან, რომ გამომჟღავნების შემთხვევაში სასჯელის უმაღლესი ზომა არ ასცდებათ. ზემოხსენებული ჯაშუშები აშკარად, დღისით, მზისით საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ ჯაშუშობენ. ეს იმიტომ ხდება, რომ ზოგი გაზეთი მათ ფურცლებს უთმობს. სახელს ჯერჯერობით არ დავასახელებ. გეღიმებათ, ალბათ, ნოდარ დუმბაძის ერთ-ერთი მოთხრობის პერსონაჟის სიტყვები გახსენდებათ!..

გაიხარეს, პუტინი კაცობრიობას დაემუქრა, ატომური იარაღით ამოგჟლეტთო. მათ ის კი არ იციან, ასეთი რამ ნებისმიერ ატომური იარაღის მფლობელს შეუძლია, თუკი, რასაკვირველია, თავი მოიგიჟიანა. რუსეთს, რასაკვირველია, თავი კარგა ხანია, მოგიჟიანებული აქვს, მაგრამ ნახევრად მშიერი ქვეყნის ქადილის არავის ეშინია.

ამასთან დაკავშირებით, მსურს, მოგითხროთ ჩემი ცხოვრების ერთი ეპიზოდის შესახებ.

ხუთი წლის განმავლობაში ბერლინის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში ლექციებს ვკითხულობდი. არქივებში გავეცანი დოკუმენტებს, რომლებშიც ნათლად წარმოდგენილია დასავლეთ სახელმწიფოების გეგმა. ერთ-ერთ დოკუმენტში ასე წერია: ვინაიდან რუსეთი ძლიერ აგრესიული სახელმწიფოა, საჭიროა მისი არტახებში მოქცევა, ეს არტახებია – აღმოსავლეთით ურალის ქედი, ხოლო დასავლეთით – ყირიმი, უკრაინა, ბელარუსი და ბალტიისპირეთის ქვეყნები. ჩრდილოეთით – კარელია, ფინეთი, კომი და სხვა ჩრდილოეთის ხალხების ტერიტორიები. ამ გეგმის განხორციელებაში უნდა გაერთიანებულიყვნენ – ოსმალეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, აშშ, გერმანია. უპირველესად, ევროპის ჟანდარმისთვის უნდა ჩამოეშორებინათ ყირიმი, შემდგომში მთელი კავკასია, შუა აზია, ყაზახეთი, უკრაინა, ბელარუსი და ბალტიისპირეთის ქვეყნები. ამ გეგმის შესრულებას ხელი შეუშალა ჯერ პირველმა მსოფლიო ომმა, შემდეგ კი – მეორემ. ვინც სიღრმისეულად ხედავს მოვლენებს, ეს გეგმა განახლდა, ამიტომაც აუტყდათ კრემლის ხელმძღვანელობას, რომ იტყვიან, თავის ფხანა.

არ არის გამორიცხული, პატარა სახელმწიფოებს დიდი საფრთხე შეექმნათ, მაგრამ რას ვიზამთ, კაცობრიობა საერთო კეთილდღეობისთვის იღვწის და ისეთ აგრესიულ სახელმწიფოს, როგორიც რუსეთია, მალე მცირერიცხოვანი ერების ჩაყლაპვის მადას დაუკარგავს.

შეიძლება, ზემოხსენებული ჯაშუშები შემომედავონ და მითხრან, ეს რა სამართალია, როცა მთელი კაცობრიობა რუსეთის წინააღმდეგ აღდგა, ამიტომ, დავუდექით რუსეთს ჯაშუშებად, რადგან უსამართლოა ერთის წინააღმდეგ მრავალი სახელმწიფოს წასვლა.

ჭიპაშვილი გვიმტკიცებს, საბჭოთა კავშირის პირობებში საქართველომ დიდ შედეგებს მიაღწიაო. ესეც არასწორია, თუ მეოცე საუკუნის დასაწყისში, საქართველოს მოსახლეობა ბევრად აღემატებოდა კავკასიაში მცხოვრები ერების მოსახლეობას, ამჟამად კი აზერბაიჯანის მოსახლეობა შეადგენს 10 მილიონს, ხოლო სომხეთისა – 4,5 მილიონს, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა კი – 3,7 მილიონამდე დაეცა! ასეთი ცვლილებაც, ძირითადად შედეგია რუსეთის ასიმილაციური პოლიტიკისა.

ჯაშუშებზე ვრცლად წერა მკითხველისთვის ძალზე აღმაშფოთებელი იქნება, ამიტომ ამ ყველაფერმა სხვა გართულება რომ არ გამოიწვიოს, მათზე წერას ვწყვეტ.

არჩილ იოსელიანი,
პარგია სოციალური სამართლიანობის კავშირის თავმჯდომარე, აფხაზეთის ომის ვეტერანი, ყოფილი პარლამენტარი.

P. S. პატივცემულო რედაქცია: მე, როგორც საქართველოს ერთ-ერთ მოქალაქეს, უფლება არ მქონდა არ შემენიშნა ჯაშუშების ანტისახელმწიფოებრივი ქმედება და ეს შემზარავი ფაქტი მკითხველისთვის არ მეცნო. ბუნებრივია, წინამდებარე, წერილი სახელდობრ თქვენს გაზეთში უნდა დაიბეჭდოს, ვინაიდან ხსენებული ჯაშუშები თქვენს გაზეთში თანამშრომლობენ.

არიან ადამიანები, რომლებიც კარგად აცნობიერებენ ზემოხსენებული ჯაშუშების საქმიანობას, მაგრამ გაჩუმებას ამჯობინებენ. სურთ, თქვენი გაზეთის მეშვეობით სტატიები გამოაქვეყნონ.

მე სამშობლოსთვის მრავალჯერ დავიჭერი, ხოლო ჩემი ძმა სამშობლოსთვის ბრძოლას შეეწირა. ჩემთვის უპირველესია სამშობლო და არა ვინმეების წინაშე თავის დახრა.

იმ დათმობაზეც კი წავალ, თუ თქვენი გაზეთი, საერთოდ, შეწყვეტს ჯაშუშებთან თანამშრომლობას, წინამდებარე სტატიის შინაარსი არ გავახმაურო, ვინაიდან ჩემთვის არ წარმოადგენს დიდ რამეს სტატიის გამოქვეყნება. მთავარია, ამიერიდან თქვენმა გაზეთმა, არ დაბეჭდოს ხსენებული ჯაშუშების „სტატიები“.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ მოლაპარაკებას წარმართავთ ბურჯანაძის ოჯახთან (ნინო და ანზორი), რათა თქვენი გაზეთის ფურცლები რეგულარულად დაეთმოთ მათ – რუსული პოლიტიკის საპროპაგანდოდ. ვგულისხმობთ, ეს უანგაროდ არ მოხდება. თუ ყველაფერი ეს სინამდვილე აღმოჩნდება, საქმე გვექნება კრიმინოგენურ სიტუაციასთან.

თუ ასე გაგრძელდა – თანამშრომლობა რუსეთუმეებთან, ჯაშუშებთან და ზვიადისტებთან (სოსო ჭუმბურიძე, იაკობ ლეჟავა, როსტომ ჩხეიძე)– თქვენი გაზეთის იოლად ამოსაცნობი თამაში შეუწყნარებელი გახდება ჭეშმარიტი ქართველისთვის.

მინაწერში თქმული მოსაზრებანი გონივრული ეჭვების შედეგია, ამიტომ ჯერჯერობით არ შევიტანე სტატიის ტექსტში.

ძვირფასო მკითხველო!

წერილი იბეჭდება რედაქციის სრული ჩაურევლობით და იმ იმედით, რომ სწორ დასკვნას თქვენ გამოიტანთ. „გაუმარჯოს ევროპის გამაოცებელ ქართულ დემოკრატიას!..“ მოგვწერეთ თქვენი აზრი!

ელისო კილაძის სასამართლოზე „ზეწოლის“ ახალი ფაქტი

ჟურნალისტი ელისო კილაძე აცხადებს რომ საპარლამენტო უმრავლესობაში მისი ვაჟის – დავით ხარშილაძის გამამართლებელი განაჩენით უკმაყოფილოები არიან. კილაძემ საგანგებო ბრიფინგზე გუშინ განაცხადა, რომ მისი წყაროს ინფორმაციით, ადამიანის უფლებათა და იურიდიულ კომიტეტის თავმჯდომარეები სოფო კილაძე და ეკა ბესელია დავით ხარშილაძის „სამაგალითო დასჯას“ ითხოვენ.

კილაძის განცხადებით, წყარომ მას მიაწოდა ინფორმაცია, რომ ბესელიამ მისი მოადგილის მეშვეობით შესაძლოა, სააპელაციო სასამართლოს კოლეგიაზე ზეწოლა განახორციელოს.

„2017 წლის 13 მარტს დააკავეს ჩემი შვილი, „ქრონიკა+“-ის თანამშრომელი დავით ხარშილაძე, მას დიდი რაოდენობით ნარკოტიკული საშუალება ჩაუდეს. საქმეში ოფიციალურად ფიგურირებდა ორი პოლიციელის ჩვენება, რეალურად დაკავების ადგილას იმყოფებოდა ათამდე პოლიციელი, ოპერაციას კი შს სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსი რამაზ თარაშვილი ხელმძღვანელობდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ხათუნა ხარჩილავამ ბრალდების მხარის არც ერთი მტკიცებულება არ გაიზიარა და დავით ხარშილაძე წარდგენილ ბრალდებაში სრულად გაამართლა. მეტიც განაჩენში მიუთითა, გამოძიების არაპროფესიონალიზმსა და არაკომპეტენტურობაზე. მთავარმა პროკურატურამ საქალაქო სასამართლოს განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა ახალი მტკიცებულება, არგუმენტი ან მოწმე არ წარმოუდგენია. ორი დღის წინათ კონფიდენციალურმა წყარომ მომაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე რომ „ქართული ოცნების“ უმრავლესობის ნაწილი დავით ხარშილაძის გამამართლებელი განაჩენით უკმაყოფილია და ისევ ითხოვენ ჩემს სამაგალითო დასჯას, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და იურიდიული კომიტეტების თავმჯდომარეები სოფიო კილაძე და ეკა ბესელია. წყაროს მტკიცებით ეკა ბესელიას მოადგილის ვანო ზარდიაშვილის მეშვეობით შესაძლოა, ხორციელდებოდეს ზეწოლა სააპელაციო სასამართლოს კოლეგიაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის შეცვლის მიზნით. მივმართავ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, სახალხო დამცველს, საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებს, 2018 წლის 22 მარტს ჩანიშნული პროცესი წარიმართოს მათი მონიტორინგის პირობებში და სასამართლო კოლეგიას მიეცეს სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების საშუალება. დეპუტატთა ჯგუფმა ვერ შეძლოს ზეგავლენით ვაჭრობა და დამოუკიდებელ მედიაზე მორიგი რევანში.

ელისო კილაძე – „ქრონიკა+“-ის მთავარი რედაქტორი“.

კვირიკაშვილის წერილი ჩარაზული სახელმწიფოს კარის გახსნის მაუწყებელია!..

ე.წ. პატრიოტების გასაგონად: ვინ არის ეგ ეკა გიგაური, აქაური თუ იქაური?!.

დიპლომატიის „მამებად“ წოდებულთა ერთ-ერთი საყურადღებო მოწოდება იყო და არის ასეთი – მოლაპარაკების დროს შეთანხმების მიღწევა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ერთი იზიარებს მეორის პოზიციას, ანუ, უფრო ზუსტად, ოპონენტის ადგილას წარმოიდგენს თავს. მოლაპარაკება თავიდანვე უშედეგობისთვის არის განწირული, თუ ის ულტიმატუმებით და ერთმანეთის აუგად მოხსენიებით იწყება.

ეს მარტივი, მაგრამ უდავოდ გასაზიარებელი ჭეშმარიტება რა ხანია მიუღებელია ქართული მხარისთვის, მაშინ, როდესაც საქმე რუსეთთან ურთიერთობას, განსაკუთრებით მოლაპარაკების გამართვას ეხება. ქართული მხარე, გამსახურდიას ხელისუფლებიდან დაწყებული, ყოველთვის შორს იყო საკუთარი თავის რუსეთის ადგილას წარმოსადგენად, ხოლო, რაც შეეხება ულტიმატუმებს – უხვად იყო და არის.

დამოუკიდებლობის „მოპოვებიდან“ თითქმის 30 წლის განმავლობაში ისე ვიქცევით, თითქოს საქართველო რუსეთი ან აშშ-ი იყოს, ისინი კი – პატარა, სუსტი ქვეყნები, ანუ საქართველო.

პოლიტიკაში, განსაკუთრებით დიპლომატიურ სამზარეულოში ჩახედულთათვის საქართველოს პოზიცია გასაკვირი არ არის და მას საერთაშორისო სარბიელზე თამაშის წესების არცოდნას მიაწერს, რაც უდავო ჭეშმარიტებაა. მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ამ არცთუ მცირე დროის განმავლობაში ჩვენი მხრიდან პროგრესი, სწავლის თვალსაზრისით, არ შეინიშნება.

ჩვენ ისეთივე სალი კლდესავით ვართ, როგორებიც ვიყავით გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში. ისეთივე ენთუზიაზმით ვლანძღავთ რუსეთს, როგორც მაშინ; ისეთივე შეურაცხმყოფელ სიტყვებს ვიყენებთ მის „შესამკობად“, როგორც მაშინ. ისეთივე ულტიმატუმებს მივმართავთ, როგორც სოხუმის დაცემის დროს და ერთი წუთითაც არ ვფიქრობთ, რომ ამ სიბრიყვეს, ვაიპატრიოტობას მოაქვს ის, რასაც ცხინვალი ჰქვია.

ამას წინათ ერთი ასეთი „პატრიოტი“, ლამის წივილ-კივილით უმტკიცებდა ტელემაყურებელს, რომ მხოლოდ „მტკიცე“ პოზიციის გამოვლინებით შევძლებთ ტერიტორიების დაბრუნებას და რუსეთის „დაჩმორებას“, ცხადია, საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერით. „ჩვენ დასაკარგი უკვე დავკარგეთ, ახლა შეტევაზე უნდა გადავიდეთ დაკარგულის დასაბრუნებლადო“, – ჩაგვძახოდა „პატრიოტი“.

დასაკარგზე ნუ ვიტყვით, ვინაიდან საქმე საქმეზე რომ მიდგეს, იმდენი გვაქვს, გაფიქრებაც არასასიამოვნო ჟრუანტელს იწვევს. ჩამოვთვალო?

აჭარიდან დავიწყოთ, სადაც მეზობელი და ზოგ-ზოგირთებისთვის „მეგობარი“ თურქეთი ისე დაიარება ამ ძირძველ ქართულ მიწაზე, როგორც ბატონ-პატრონი. **ახლა სომხებითა და აზერბაიჯანელებით დასახლებული ქართული რეგიონები გავიხსენოთ,** სადაც პატარა „ნაციონალური“ ნაპერწკალიც იკმარებს, დაახლოებით ისეთი, გამსახურდიას მმართველობის დასაწყისში რომ იყო და დასაკარგიც გამოჩნდება. თუ ვინ იქნება ბუნტის იატაკქვეშა ინსპირატორი, თვითონ გამოიცანით.

ვინ დაგვიდგება გვერდში? – ის აბსტრაქტული „საერთაშორისო საზოგადოება“, რომელიც ვერა და ვერ გვიწვდის ნამდვილი დახმარების ხელს?! **ნეტავ, როგორ წარმოუდგენიათ ფსევდოპატრიოტებს საქართველოში მცხოვრები მეზობელი ერების შვილების მიერ აგორებულ დავიდარაბაში „საერთაშორისო საზოგადოების“, ე.წ. პარტნიორი ქვეყნების ჩართვა?**

იარაღს შეისხამენ და აქ ჩამოვლენ საბრძოლველად?! – 2008 წლის მწარე გამოცდილებამ ხომ გვაჩვენა, რისი გამკეთებლებიც არიან?

დიახ! გვაჩვენა, მაგრამ ამ „პატრიოტთაგან“ არავის უნდა სინამდვილის დანახვა. ერთ-ერთი „პატრიოტთაგანი“ გახლავთ ქალბატონი გიგაური, რომელიც ისე გაღიზიანებული ლაპარაკობს რუსეთის ხელისუფლებისადმი პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილის მიმართვაზე, თითქოს კვირიკაშვილს გიგაურის მილიონი დოლარი მართებდეს.

არ მითხრათ, გიგაური სამშობლოს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე თუნდაც ათ დოლარს. მისთვის და მისნაირი

„პატრიოტებისთვის“ საქართველო მეწველი ძროხაა. საქართველოს „საკეთილდღეოდ“ უყოფენ არასამთავრობო ორგანიზაციებს მსუყე თანხებს დასავლელები. მიზანი – შიშველი, ანტირუსული პროპაგანდა – საქართველოს „საკეთილდღეოდ“.

ერთი ასეთი ახლახან მოვისმინეთ, როდესაც ეკა გიგაურმა უსირცხვილოდ, შეუპოვრად განაცხადა – რა გვაქვს რუსეთთან საბოდიშო; ომი ჩვენ დავიწყეთ თუ ხალხი დავუხოცეთ; ტერიტორიები წავართვით თუ სხვა მხრივ შევავიწროვეთო.

დაახლოებით ამის მსგავსი იყო ეთერში გადმოღვრილი გიგაურის „პატრიოტიზმი“. რამდენი ასეთი გიგაური გვიბურღავს ტვინს ყოველდღიურად? რამდენი ასეთი გვარწმუნებს, რომ ქართველები ყველაფერში მართლები ვართ რუსებთან და რახან ასეა, ჯიქურ უნდა მივეჭრათ და „საერთაშორისო საზოგადოებასთან“ ერთად ვაიძულოთ დათმობაზე წამოსვლა, ყოველგვარი მოლაპარაკების, აზრთა გაზიარების, შეჯერების გარეშე.

ჰქვია თუ არა ამას ულტიმატუმი? ვგონებ, კითხვა უადგილოა. თვალი გადავავლოთ განვლილ პოლიტიკურ ცხოვრებას, განსაკუთრებით რუსეთთან ურთიერთობის განხრით, რომელიც ქართული ულტიმატუმების ფრიალის ნათელი მაგალითია. მიკვირს, ამის შემყურე ბირთვული სუპერსახელმწიფო როგორ იტანს ამდენ შეურაცხყოფას, გინებას, ბილწსიტყვაობას პატარა, უსუსური ქვეყნის მხრიდან. როგორც ჩანს, თავს არ გვიყადრებს და, ალბათ, ასეც გაგრძელდებოდა, **საკაშვილს რომ არ გადაემლაშებინა, რუსეთის მშვიდობისმყოფელები არ ჩაეხოცა და მძინარე ცხინვალი ცეცხლის ალში არ გაეხვია.**

აი, გორს რომ დასხმოდა თავს რუსეთი, ანუ პირველებს რომ გაეხსნა ცეცხლი გორის მიმართულებით, მაშინ ჩათვლიდა ევროკავშირის სპეცკომისია რუსეთს აგრესორად. კომისიამ საწინააღმდეგოდ მიიჩნია, რაც კარგად იცის გიგაურმა და სხვა „პატრიოტებმა“, მაგრამ მსმენელს აბრიყვებენ. და აბრიყვებენ იმიტომ, რომ ფულს იღებენ გაბრიყვებაში. არის ამ პროცესში „პატრიოტიზმი“?

არამც და არამც. აქ ფულის მოხვეჭის „პატრიოტიზმია“ და კიდევ იმის მცდელობა, რომ საქართველო დიდხანს იყოს რუსეთთან დაპირისპირებაში, ვინაიდან დაპირისპირების ხელშემწყობ დასავლეთს აწყობს ასეთი ვითარება და რახან აწყობს, ფულსაც გადაუხდის ამ „კეთილშობილურ“ საქმეში გიგაურსა და მის მსგავს „პატრიოტებს“.

მაინც რამდენი არიან! ყველა ტელეკომპანიის ეკრანი აქვთ დაპყრობილი. მათთვის საქართველო ფულის მოხვეჭის არენაა და არა სამშობლო, რომელიც ამგვარი პოლიტიკით სულ უფრო იძირება ჭაობში, საიდანაც ამოსვლა შეუძლებელი იქნება.

სამწუხაროდ, ულტიმატუმები ხელისუფლების მხრიდანაც ისმოდა და ისმის. დაახლოებით ასეთი – „არის წითელი ხაზები, რომელსაც ჩვენ ვერ გადავლახავთ, ანუ ვიქნებით იმ დონეზე, რაც გვაქვს – ბორჯომის, მწვანილის, ღვინის დონეზე. არის კიდევ სხვა წვრილმანიც, მაგრამ არ არის მთავარი– პოლიტიკური დიალოგი. არადა, რომ ყოფილიყო, უდავოდ წაადგებოდა ეკონომიკურად გაძვალტყავებულ ქვეყანას. **უბრალო ჭეშმარიტებაა, კონსტრუქციული პოლიტიკურ-დიპლომატიური დიალოგი გზას უხსნის შეთანხმებას, შეთანხმება კი – მეტ ინვესტიციას და ა.შ.**

ჩვენი მხარე დაჟინებით ამბობს, რომ რუსეთთან მოსალაპარაკებლად მაგიდას არ მიუჯდება, თუ წინასწარ არ იტყვის რუსეთი, რომ უკან წაიღებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას; არ გაიყვანს სამხედრო ბაზებს სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან; არ გააუქმებს იქ გახსნილ რუსეთის საელჩოებს და სხვა.

გახსოვთ, ალბათ, „კდემამოსილი“ საგარეო საქმეთა მინისტრის ფანჯიკიძის ოფიციალური განცხადებები, თუმცა არც სხვები აკლებდნენ და აკლებენ ხელს. რა შეიძლება ვუწოდოთ ამას, თუ არა ულტიმატუმი? თანაც როგორი?!

ამის მთქმელს მხოლოდ ერთი რამ ამოძრავებს – რუსეთთან ურთიერთობების სამარადისო გაყინვა. ნუთუ, ვინმეს ჰგონია, რომ ამ პოლიტიკით რუსეთს დაითანხმებს? ძალიან ტუტუცი უნდა იყოს, რომ ეს ეგონოს. რუსეთმა მოისმინა ქართული წინადადებები და გააგრძელა თავისი საქმე ისე, რომ წარბიც არ შეუხრია. ჩვენც ასევე – დავივიწყეთ რა მარტივი ჭეშმარიტება – დროის გაყვანა ჩვენთვის მომაკვდინებელია. ტერიტორიები ჩვენ გვაქვს დაკარგული და არა იმას. იმ ტერიტორიებზე მცხოვრებნი ეგუებიან (შეეგუენ) უჩვენოდ ცხოვრებას და რაც უფრო მეტი დრო გავა, უფრო დავავიწყდებით. თუ რამე გაახსენდებათ – ჩვენი აგრესია იქნება.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ახალი თაობა საქართველოს სიძულვილში იზრდება. ამას კი ადგილი არ ექნებოდა, რომ დროულად გამოვფხიზლებულიყავით, არ ავყოლოდით დასავლელი „პარტნიორების“, ხალხის მტერი „ნაცმოძრაობის“ მოწოდებებს და დიალოგი დაგვეწყო მოსკოვთან, სოხუმთან, ცხინვალთან – ყოველგარი ულტიმატუმების გარეშე, ვინაიდან საულტიმატუმოც ნაკლები გვაქვს.

„ოცნებას“ რომ 2012 წელს გახმიანებული დაპირება – რუსეთთან ურთიერთობების დალაგება, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაეწყო, 5 წლის განმავლობაში რაღაცას მივაღწევდით. არ დაიწყო მხოლოდ იმიტომ, რომ ანგარიში გაუწია დასავლელ „პარტნიორებს“, შინაურ ოპოზიციას. და როდესაც დაინახა, რომ ურუსეთოდ, მარტო „საერთაშორისო საზოგადოების“ მხარდაჭერით, გარდაცვლილი ტატუნაშვილის ცხედარიც ვერ დაიბრუნა, ისევ კრემლს მიმართა.

ПРЕМИЕР-МИНИСТР КВИРИКАШВИЛИС წერილი რუსეთის ხელისუფლებისადმი, უდავოდ მნიშვნელოვანი რამ არის და შესაბამის რეაქციასაც გამოიწვევს. იყო კიდევაც – მოზომილი და მომავლისადმი იმედით განმსჭვალული.

ვინც კითხვა იცის და „ინტრიგანი“ არ არის, უმალ ამოიკითხავს კვირიკაშვილისა და რუსული მხარის მიწერ-მოწერაში დადებითს, მნიშვნელოვანს, მაგრამ ჩვენი საზოგადოება ხომ გიგაურებით არის სავსე – ვითომ პატრიოტებით, სინამდვილეში ქვეყნისთვის ავის მსურველებით, რომლებიც კვირიკაშვილსაც უწუნებენ წერილში ჩადებულ აზრებს და რუსეთსაც. პირველი თურმე ცდება, რუსეთს უჩოქებს, ხოლო მეორე – ამაყად, ზემოდან დაგვცქერის და სასიკეთოს არაფერს გვპირდება.

კვირიკაშვილი სხვა ქვეყნის, უფრო დალაგებულის და მოაზროვნე საზოგადოებისგან შემდგარის პრემიერ-მინისტრი რომ ყოფილიყო, მისი მიმართვა არავის გაუკვირდებოდა, მაგრამ კვირიკაშვილი გონებაარეული საქართველოს პრემიერია და მისი ნაბიჯიც სარისკოა, თუმცა უკეთესობისკენ მიმართული.

ნათქვამია – **„ვინც არ რისკავს, შამპანურსაც არ სვამს“.** უნდა ვიმედოვნოთ, რომ მის წერილს სხვაც მოჰყვება, იმ სხვას კი კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობა და, ბოლოს, – შეხვედრა, რისი სურვილიც რა ხანია გამოთქვა რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა. მაშინ ქართულმა მხარემ უპასუხა, რომ საკითხს დასავლელ პარტნიორებთან შეათანხმებდა.

საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ და ბოლოს პასუხმაც თავი იჩინა. როგორც ჩანს, შეთანხმება შედგა, რაც თვალნათლივ აისახა ნატოს გენერალური მდივნის **სტოლტენბერგის** განცხადებაშიც: **„ჩვენზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ის ფაქტი, რომ საქართველოს შეუძლია რუსეთთან დიალოგში ჩართვა, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად“.**

ე.წ. პატრიოტებო, დამშვიდდით და დაელოდეთ მოვლენებს. კვირიკაშვილს ამ შემთხვევაში ქვეყნისთვის საზიანო ნაბიჯი არ გადაუდგამს. პირიქით, მისი წერილი 1990 წლიდან ჩარაზული სახელმწიფო კარის გახსნის მაუწყებელია, რაც შექებას იმსახურებს და არა ლანძღვას.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.
577-40-65-65

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ახალი თაობა საქართველოს სიძულვილში იზრდება. ამას კი ადგილი არ ექნებოდა, რომ დროულად გამოვფხიზლებულიყავით, არ ავყოლოდით დასავლელი „პარტნიორების“, ხალხის მტერი „ნაცმოძრაობის“ მოწოდებებს და დიალოგი დაგვეწყო მოსკოვთან, სოხუმთან, ცხინვალთან – ყოველგარი ულტიმატუმების გარეშე, ვინაიდან საულტიმატუმოც ნაკლები გვაქვს.



ევროპაში – სხვისი გვარით და სახელით!

ამას წინათ, თბილისში რუსეთის საკონსულოს შენობასთან მოვხვდი, სადაც უზარმაზარი, ორასკაციანი რიგი დამხვდა. ხალხი ქვეყნიდან მიდის, ვიზებს ელიან.

საჭირო არ არის მათთვის წასვლის მიზეზების გამოკითხვა, ყველაფერი ისედაც ცხადია: ვიღაც სტუმრად მიდის, ვიღაც სამკურნალოდ, მაგრამ წამსვლელთა ძირითადი მასა საზღვარგარეთ იმის გამო მიდის, რომ საქართველოში საქმე ვერ მოუნახავს.

სავალალო სურათია. უწინ საქართველო არასდროს გამოირჩეოდა უცხოეთში დიასპორის მრავალრიცხოვნობით, მაგრამ თუკი ამ თემაზე საუბარი ჩამოვარდებოდა, უთუოდ პარიზი და მისი გარეუბანი – ლევილი იგულისხმებოდა, რომელიც 1921 წელს საქართველოში მე-11 წითელი არმიის შემოჭრის შედეგად ქვეყნიდან გაქცეულ ქართველთა თავშესაფრად და უცხოეთში ეროვნული კულტურის კერად იქცა. ახლა კი, რაა?

„პუსის კვლევითი ცენტრის“ ვებ-გვერდისა და რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ მონაცემებით, 2017 წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საქართველოდან ემიგრირებულია 840 ათასი კაცი. ამ მასალის თანმხლებ რუკაზე ნაჩვენებია, რომ მიგრანტთა უმრავლესობა, დაახლოებით 450 ათასი კაცი – რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობს, 80 ათასი – საბერძნეთში, 70 ათასი – უკრაინაში, 50 ათასი – აზერბაიჯანში, 40 ათასი – სომხეთში, 30 ათასი – ამერიკის შეერთებულ შტატებში, 20 ათასი – გერმანიაში...

ეს ოფიციალური მონაცემებით, მაგრამ სინამდვილეში ამ კატეგორიის მოქალაქეები გაცილებით მეტია, არაოფიციალური მონაცემებით, მარტო რუსეთში მილიონამდე ქართველი ემიგრანტი ცხოვრობს; საბერძნეთში კი – კრიზისამდელ პერიოდში – დაახლოებით 300 ათასი ჩვენი თანამემამულეა წასული. ამდენად, საქართველოში ამჟამად რეალურად მცხოვრებთა რიცხოვნობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ამას მოსახლეობის ბოლო აღწერის ორგანიზატორები აცხადებენ. შესაბამისად, გაცილებით მეტია ქვეყნიდან გასულ მოქალაქეთა ოდენობა. საქმე კი ისაა, რომ ძალიან კარგადაა ცნობილი, თუ როგორ წარმოებს ეს ეგრეთ წოდებული აღწერები. ვთქვათ, კაცი, რომელიც უკვე 20 წელია, ქვეყანაში აღარ ცხოვრობს, მისი ნათესავების სიტყვებზე დაყრდნობით, აღმწერებს ყოველთვის მცხოვრებთა სიაში შეჰყავთ.

დიახ, ხალხი იქ გარბის, სადაც სარჩოს მოპოვება შეუძლია, ვინაიდან სამშობლოში პურის ფულს ვერ შოულობს. ქვეყანაში თითქოსდა გაჩენილი ახალ-ახალი სამუშაო ადგილების შესახებ ფუჭი ლაპარაკის მიუხედავად, არც პრეზიდენტ სააკაშვილის, არც პრემიერების ივანიშვილის, ღარიბაშვილისა და კვირიკაშვილის დროს, მოსახლეობის დასაქმების პრობლემა ვერა და ვერ გადაიჭრა. ერთი ეგაა, რომ წინა წლებთან შედარებით ახლა რესტორნებში მეტი ოფიციანტი, სასტუმროებში კი დამლაგებელი და სხვა მომსახურე პერსონალია საჭირო, ქუჩებში მეძავების რაოდენობამაც იმატა, მაგრამ აქაც, ისევე, როგორც სხვაგან, სამუშაო ძალის სიჭარბეა.

ცოტა ხნის წინათ, ტელეარხ „რუსთავი-2“-ზე ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტისადმი მიძღვნილ გადაცემაში ერთი ტელეჟურნალისტი, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა ამერიკაში, იმის თაობაზე მსჯელობდა, თუ რატომ მიაღწია ქართველ ემიგრანტთა რიცხოვნობამ 30 ათასს ამერიკის შეერთებულ შტატებში. აშშ-ში პერიოდულად აქვეყნებენ მომსახურების სფეროში, ყველაზე მეტად მოთხოვნადი სპეციალობის, მათ შორის, ხანდაზმულთა მომვლელების ვაკანსიებს. საქმე იმაშია, რომ ამერიკაში ცხოვრების დონე განუხრელად იზრდება, ხალხი თითქმის 90-100 წლამდე ცოცხლობს და, ბუნებრივია, მოვლას საჭიროებს. ჟურნალისტის განმარტებით, თურმე ქართველი ქალბატონები ასეთი სამუშაოსთვის საუცხოოდ არიან მომზადებული, რადგან თავიანთ ოჯახებშიც, ფაქტობრივად, იმავე საქმეს აკეთებენ – უვლიან თავიანთ მამებს, მეუღლეებს, ვაჟიშვილებს. ამდენად, არ არის გასაკვირი, რომ ქართველ მანდილოსანთა სწორედ ამ სახეობის მომსახურებაზე მოთხოვნა ამერიკულ საზოგადოებაში საკმაოდ დიდია. მიმაჩნია, რომ ყველა ნორმალური ტელემაყურებელი, ამგვარ „გონიერ დასკვნებს“ უნდა გაეწბილებინა.

არასდროს დამავიწყდება ერთი ამბავი, რასაც საბერძნეთის ქალაქ სალონიკში შევესწარი. ეს მოხდა საქართველოსა და საბერძნეთის დედაქალაქებს შორის მგზავრების გადამყვან ავტობუსში. მგზავრთა უმრავლესობა სალონიკში ჩავიდა, სალონში კი 7-8 ქალბატონი დარჩა, რომლებიც გამალებით არჩევდნენ ერთმანეთში, თუ როგორ შეძლეს საბერძნეთის საზღვრის არალეგალურად გადმოკვეთა, ჩემთვის კი ყურადღების მოქცევა არავის უფიქრია. სამალავი იყო ავტობუსის იატაკქვეშ, ძრავასთან, რომელიც იმ ორი საათის განმავლობაში, რაც მანქანას საზღვარზე ამოწმებდნენ, არ გამორთულა და იქ სუნთქვა შეუძლებელი იყო, რადგან საშინელი გამონაბოლქვით აივსო. ამ დროს კი ქართველი ქალები როგორც თევზები კონსერვის ქილაში ისე იყვნენ ერთმანეთზე მჭიდროდ მიკრულები და სამალავში იწვნენ. „რომ მოვმკვდარიყავი, კრინტს როგორ დავძრავდი, ამით ხომ ყველას გავთქვამდი და დავღუპავდი“, – იძახდა ერთ-ერთი არალეგალი მანდილოსანი, რომელსაც სხვებიც ეთანხმებოდნენ. ათენში ჩასვლისას ერთმანეთს დაემშვიდობნენ და მისამართები გაცვალეს, თან პირობა დადეს, რომ ამ მგზავრობას სამუდამოდ დაიმახსოვრებდნენ. არადა, ისინი ნამდვილად არ ჰგავდნენ ფათერაკის მაძიებელ ქალბატონებს: დარბაისელი დიასახლისები, ოჯახის დედები, ღირსეული მეუღლეები ჩანდნენ. მათ მსგავსებს ხომ ნებისმიერ ქართულ ოჯახში გულითადად გაშლილ სუფრასთან ნახავთ. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დონის გაჭირვებამდე უნდა მივიდეს ადამიანი, რომ ამგვარ ხიფათიან გზას დაადგეს, ოჯახის წევრები კი ახლობელი ადამიანის – დედის, დის, მეუღლის ამგვარი მაქინაციებით და ამხელა რისკის საფასურად უცხო ქვეყანაში შეღწევაზე დათანხმდნენ!

დაახლოებით ერთი წლის წინათ საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლისა და იქ 90 დღის განმავლობაში უპრობლემოდ დარჩენის უფლება დართეს, თუმცა, რაღა თქმა უნდა, მუშაობისა და იქ მუდმივად საცხოვრებლად ნებართვის გარეშე. ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა ხელისუფლებამ სამამულო დიპლომატიის უდიდეს წარმატებად წარმოადგინა, რომელიც თითქოსდა ევროპულ ოჯახში მიღების ტოლფასი იყო, თუმცა ის ამ რანგის მოვლენა, ცხადია, არ ყოფილა. ამის მთავარი მიზეზი კი ის გახლდათ, რომ საფრანგეთის, იტალიის, გერმანიისა და ევროპის სხვა ქვეყნების მონახულება საქართველოს მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არა ბუნებრივი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად და ტურისტის რანგში ადგილობრივ ღირსშესანიშნაობათა გაცნობა იყო, როგორც ეს ევროკავშირს ჰქონდა ჩაფიქრებული, არამედ გაცილებით უფრო „მიწიერი“, უხეშად რომ ვთქვათ, იქ სამუშაოს საშოვნელად. შედეგიც საკმაოდ ადვილად პროგნოზირებადი იყო: საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში წამსვლელთა ნაკადმა საგრძნობლად იმატა, უკან დამბრუნებელთა კი – შესამჩნევად შემცირდა. უმრავლესობას შინ დაბრუნება აღარ სურდა, ევროპის მრავალი ქვეყნის შესაბამის უწყებაში პოლიტიკური თავშესაფრის განცხადებების რიცხვმა იმატა. მარტო ამ წლის იანვარში გერმანიაში თავშესაფარი საქართველოს 700-ზე მეტმა მოქალაქემ ითხოვა!

როგორც გინდა გაამკაცრო კანონმდებლობა, პრობლემების არსი ამით არ იცვლება. ქვეყნის დატოვების მსურველ ადამიანთა რიცხოვნობა არ იკლებს. მიზეზი კი კვლავაც უწინდელია: ესაა სამშობლოში მეტ-ნაკლებად შესაფერისი სამუშაოს ნახვის უპერსპექტივობა, რომელიც მოქალაქის შესაძლებლობების, ცოდნის, განათლებისა და ინტელექტის შესაფერისი იქნებოდა. ვიდრე ეს პრობლემა კარდინალურად არ გადაიჭრება, ხალხს ქვეყანაში, სამწუხაროდ, ვერანაირი საკანონმდებლო აქტი ვერ დააკავებს!

რეაქციამაც არ დააყოვნა, შეწუხებული და აღშფოთებული ხმები უცხოეთიდან სულ უფრო ხმამაღლა მოისმოდა: ირღვევა უვიზო მიმოსვლის პირობები, იზრდება მიგრანტების რიცხვი, რომლებიც თავშესაფარს ევროპის ქვეყნებში ითხოვენ. მოწოდებებმა საქართველოს ხელისუფლებისადმი სულ უფრო იმატა: მიიღეთ ზომები, თორემ სანქციებს მოვაყოლებთო. საქმე იქამდე მივიდა, რომ საქართველოში საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩმა პასკალ მენიემ განაცხადა: საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც სამშობლოში დაბრუნებას გადაწყვეტენ, საფრანგეთის მთავრობისგან მატერიალურ და არამატერიალურ დახმარებას მიიღებენო. დიპლომატის თქმით, ქართველებმა, ვისაც მისი ქვეყნის დატოვება სურთ, შეუძლიათ საფრანგეთის იმიგრაციისა და ინტეგრაციის ოფისს მიმართონ და იქ თავიანთი ბიზნესპროექტები, ანდა სხვა იდეები წარადგინონ. ოფისი მზადაა წამსვლელებისთვის ნებისმიერი დახმარების გასაწევად. „ასეთ ბონუსს ყოველწლიურად საქართველოს 40-50 მოქალაქე იღებს, საფრანგეთის მოქალაქის სტატუსის ვერმიღების შემთხვევაში ისინი სამშობლოში დაბრუნებასა და იქ საკუთარი ბიზნესის წამოწყებას, ჩვენი მხრიდან ტექნიკურ კონსულტაციასა და ფინანსურ მხარდაჭერას არჩევენ“, – აღნიშნა ელჩმა.

მოკლედ რომ ვთქვათ, აჰა, ბატონო, თქვენ ფული, ოღონდ ჩვენი ქვეყნიდან მიბრძანდითო!.. ამაზე შეურაცხმყოფელი რა უნდა იყოს?!

ჰოდა, რატომ არ სთავაზობს საქართველოს ხელისუფლება საზღვარგარეთ წასვლის მსურველ თანამემამულეებს შეღავათიან კრედიტებს, სათანადო დახმარებას სამეწარმეო საქმიანობის წამოწყებასა და მხარდაჭერას ბიზნესპროექტების განხორციელებაში?! რატომ არ უწყობს ხელს შემოქმედებითი, სამეწარმეო და სხვა პოტენციალის გამოვლენას სამშობლოში, ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაუსვლელად?! მაგრამ, როგორ გინდა ხელის ერთი მოსმით იმის გაკეთება, რაც დამოუკიდებლობის 25 წლის მანძილზე ვერ მოხერხდა? ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედების უუნარობის გამო ხელისუფლება იძულებულია, მოსახლეობას დარიგებები მისცეს, დაუყვავოს, აუკრძალოს. „ეკონომიკური მიზეზებით მოქალაქის საზღვარგართ წასვლა არ არის პოლიტიკური თავშესაფრის მიღების საბაბი, ვინაიდან თავშესაფარს იმ პირებს აძლევენ, რომლებიც პოლიტიკური ან სხვა ნიშნებით იდევნებიან. საქართველოში კი, როგორც ცნობილია, პიროვნების თავისუფლების დარღვევა სრულიად გამორიცხულია“, – აცხადებს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვახტანგ მახარობლიშვილი კი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ პოლიტიკური თავშესაფრის ყველა მაძიებელს საქართველოდან გერმანიის მხარეში უარი უთხრეს და მოკლე ხანში მათ სამშობლოში დააბრუნებენ.

მაგრამ ტყუილად ხომ არაა ნათქვამი – გაჭირვება მანახეო... რა ღონეს აღარ მიმართავს ხალხი ევროპაში ფეხის მოსახვედრად, ერთხელ რომ გამოაბრუნებენ, ხელმეორედ მიდის, მეორედ გამოაძევებენ და ბედს კიდევ ცდის. ეგ როგორო? – იკითხავთ. როგორ და უბრალოდ!.. როგორც ირკვევა, კარიდან რამდენჯერმე გაგდებულისთვის ფანჯრიდან შესვლის ყველაზე ადვილი ხერხია... **გვარის გამოცვლა**. „ჩვენ გვაქვს შემთხვევები, როცა ერთმა პირმა გვარი ოთხჯერ გამოიცვალა, მეორემ – სამჯერ, კიდევ ერთმა კაცმა – ორჯერ. თანაც ყველაფერი ეს ერთი წლის განმავლობაში მოხდა“, – შეშფოთებას ვერ მალავს თეა წულუკიანი, რომელმაც მთავრობის ამასწინანდელ სხდომაზე საქართველოში გვარის გამოცვლასთან დაკავშირებით რეგულაციების გამკაცრების კანონპროექტი წარადგინა. „პრობლემა, ცხადია არსებობს, – წუხს მინისტრი. – შენგენის ზონიდან გამოძევებული ხალხი ხშირად გვარს იცვლის, ახალ პასპორტს იღებს და თეორიულად სხვა ადამიანებად იქცევიან, რომლებსაც საბოლოო ანგარიშით მაინც უშვებენ ევროზონაში“.

მაშ, როგორ უნდა მოვიქცეთ?

თუ მინისტრს ვენდობით, ზოგიერთ ევროპულ ქვეყანას საქართველომ მრავალი პოზიციით გაუსწრო. მაგალითად, დაბადებისას ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს პირადი ნომერი ენიჭება, რომელიც ადამიანს სიცოცხლის ბოლომდე უნარჩუნდება. ევროპის სხვა ქვეყნებში ასეთი ნუმერაცია არ არსებობს. საქართველოს ხელისუფალთა აზრით, პირადი ნომერი მეგობარი ევროპული ქვეყნების თანამემამულეთა „შესევიდან“ დაცვის ეფექტიანი საშუალებაა. საჭიროა ოღონდ ამ ხერხის გამოყენება. საქართველო ევროპელ მესაზღვრეებს შენგენის ზონაში შესვლისას ჩვენს თანამოქალაქეთა ინდენტიფიცირებას მათი პირადი ნომრის მეშვეობით ურჩევს, მაგრამ ამ საქმის აწყობას დრო სჭირდება, ამიტომაც ევროპელი პარტნიორები საქართველოს მხარეს რადიკალური ზომების დაუყოვნებლივ მიღებას სთავაზობენ. კონკრეტულად კი ლაპარაკია გვარის შეცვლასთან დაკავშირებით რეგულაციების შეცვლაზე, რასაც ჩვენი ხელისუფლება აკეთებს კიდეც.

„კანონმდებლობის ამჟამინდელი გამკაცრების არსი, კერძოდ, შემდეგში მდგომარეობს: თუკი ვინმემ უკვე მოწიფულ ასაკში, 2017 წლის 28 მარტამდე, ანუ ევროპაში უვიზო შესვლის შემოღებამდე, გვარი გამოიცვალა, მომავალში მას ამ პროცედურის გამეორების უფლება მხოლოდ ერთხელ ექნება“, – ამბობს იუსტიციის მინისტრი. მისი თქმით, გვარის გამოცვლასთან დაკავშირებით რეგულაციების გამკაცრება გაზრდის საქართველოსადმი ნდობას ევროპელი პარტნიორების მხრიდან.

ვერაფერს ვიტყვით, ნდობა ნამდვილად კარგია, მაგრამ როგორც გინდა გაამკაცრო კანონმდებლობა, პრობლემების არსი ამით არ იცვლება. ქვეყნის დატოვების მსურველ ადამიანთა რიცხოვნობა არ იკლებს. მიზეზი კი კვლავაც უწინდელია: ესაა სამშობლოში მეტ-ნაკლებად შესაფერისი სამუშაოს ნახვის უპერსპექტივობა, რომელიც მოქალაქის შესაძლებლობების, ცოდნის, განათლებისა და ინტელექტის შესაფერისი იქნებოდა. ვიდრე ეს პრობლემა კარდინალურად არ გადაიჭრება, ხალხს ქვეყანაში, სამწუხაროდ, ვერანაირი საკანონმდებლო აქტი ვერ დააკავებს!

ჰოდა, კვლავაც გვიწევს კიდევ ერთხელ ვიმარჩიელოთ: რა გუნებაზეა ევროკავშირი? ჩართავს საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის გაჩერების მექანიზმს თუ არა? „არა მგონია, რომ სანქციების მექანიზმი ჩაირთვება, მაგრამ მოქალაქეებმა უარი უნდა თქვან თავისუფალი გადაადგილების შესახებ შეთანხმების ბოროტად გამოყენებაზე“, – რჩევას იძლევა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე თამარ ჩუგოშვილი.

რაღა უნდა ვქნათ, იქნებ ამჯერადაც დაგვინდონ და სანქციებსაც გადავურჩეთ? პრობლემა სხვაა – როდემდე?!

ვადიმ ანასტასიადი,
გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი

ასე ამბობდა ნაჰოლეონი

ქართულად გადმოაქცია **გურამ გოგიაშვილმა**

ომისა და სამხედრო ხელოვნების შესახებ

რუსეთის გენერლებს შორის ვინც მაფიქრებს, ბაგრატიონია.

* * *

ნამდვილი სარდალი გონებით იმარჯვებს და არა მახვილით...

* * *

ცხვრების ჯარი, რომელსაც ლომი სარდლობს, ყოველთვის დაამარცხებს ლომების ჯარს, რომლის სარდალიც ცხვარია.

* * *

დაპყრობილი ოლქები ზნეობრივი საშუალებებით, ადგილობრივი უფროსობის პასუხისმგებლობითა და კარგი მართვა-გამგეობით უნდა გვყავდნენ დამორჩილებულნი.

* * *

მტრისეული ქება-დიდება ფრიად საეჭვოა. ღირსეულ კაცს ხოტბის შესხმა მაშინ სიამოვნებს, ოდეს საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შემდგომ ესმის.

* * *

ის ხალხი, რომელსაც მხედველობიდან გამორჩა მუდმივი ჯარის ყოლის აუცილებლობა და საყოველთაო ჯანყის ანდა სახალხო ლაშქრის იმედად იქნება, გალთა ხვედრს გაიზიარებს — ოღონდ იმ დიდებული თავდაცვის უქონლად, რაც იმათ მკაფიოდ აჩვენეს და თავდაცვისავე იმ მომგერიებელი წინაპირობით, რასაც იმჟამინდელი ბარბაროსები და იმ ქვეყნის ბუნება წარმოადგენდნენ, დაფარული ტყეებით, საფლობებით, ჭაობებით, რატომაც ეს ქვეყანა დასაპყრობად ძნელი იყო და დასაცავად ადვილი.

* * *

ძველი ჯარები, ცივი იარაღით მებრძოლნი, ბევრად უფრო საჭიროებდნენ კარგად შეიარაღებულ მებრძოლთ, ვიდრე თანამედროვენი; ამის გამო ბევრად უფრო მაღალი თვისების და ბევრად უფრო გამოცდილ ადამიანთაგან შედგენილი ჯარი უცილობლად ჯაბნიდა მტერს.

* * *

ძველი ბრძოლები აურაცხელი ორთა ბრძოლისგან შედგებოდა, რომელ ბრძოლებშიც დამარცხებულნი ზურგში სასიკვდილო დარტყმისთვის იყვნენ განწირულნი.

* * *

იმის მერე, რაც თვითონ ხალხები გამოვიდნენ ბრძოლის ველზე, უკვე შეუძლებელი გახდა როქის სპის ყოლა.

* * *

უკეთუ ოფიცერს არ ემორჩილებიან, იმან აღარ უნდა იმეთაუროს.

* * *

ძველებისთვის საზღვაო საგრობა სხვა არა იყო რა, თუ არა იგივე ხელჩართული ბრძოლა ხმელეთზე, და რომ ვეტერანები, ხელმახვილიანი უმამაცესნი, თითქმის ყოველთვის დარწმუნებულნი იყვნენ ზღვაზე გამარჯვებაში, ზუსტად ისევე, როგორც ხმელეთზედ, ანუ წყლით დაუფარავად ქვეყნის ნაწილზედ. ცეცხლსასროლი იარაღი, რომელმაც ესოდენ დიდი გადატრიალება მოახდინა სახმელეთო ომში, სავსებით შეცვალა საზღვაოც.

* * *

თვისებები, აუცილებელი ფლოტის ადმირალისთვის და სახმელეთო ჯარების მთავარსარდლისთვის სხვადასხვანაირია. ეს უკანასკნელი უნდა დაიბადოს ხელოვან სარდლად, ხოლო ადმირალის ხელოვნებას ოდენ გამოცდილებით იძენს ადამიანი.

* * *

ხმელეთზე ომის წარმოების ხელოვნება გენიის ხელოვნებაა, შთაგონებაა.

* * *

ადმირალს სჭირდება ოდენ ერთი მეცნიერება — ზღვა, ცურვა; ჯარის მთავარსარდალს კი — ყველა მეცნიერება ან ნიჭიერება, რომელიც იმ მეცნიერებათ ცვლის, — მდგომარეობათა შესაბამისად მოქმედების ხელოვნება.

* * *

ადმირალს არცრის გამოცნობა არ სჭირდება: იმისთვის ცნობილია, სად არის მტერი; მან იცის, იმისი ძალა, მაგრამ მთავარსარდალმა განსაზღვრულად არა უწყის რა; არ შეუძლია მუდმივად თვალყურის დევნება მოწინააღმდეგისთვის და ვერცროდის სწორად ვერ იტყვის, სად არის მტერი. უკეთუ ორი არმია ერთმანეთის პირისპირ დგას, მაშინ ადგილმდებარეობის ყოველგვარი ცვლა — სიმაღლე, ტყე და სხვა რამ მსგავსი — ფარავს ჯარების ნაწილს, ასე რომ, ყოვლის უფრო გამოცდილ თვალსაც არ ძალუძს იმის განსაზღვრა, მოწინააღმდეგის მთელ არმიას ხედავს თუ იმის ოდენ სამ მეოთხედს. მთავარსარდალს მხოლოდ გონებრივად შეუძლია ჯარების დანახვა; ადმირალს კი მარტო გამოცდილი თვალიც ყოფნის: მტრის ძალთა არცრა ნაწილი არ არის იმისგან დაფარული.



* * *

ადმირალს ძალუძს დაუბრკოლებლად იმოქმედოს: ყოველივე საჭირო რამ, თანა აქვს; არ სჭირდება არც ადგილის დაზვერვა და ბრძოლის ველის შესწავლა. იმისთვის სულერთია — ინდოეთისა თუ ამერიკის ზღვა — წინ ერთი და იმავე წყლის გავაკებაა.

* * *

ადმირალი ბევრად უფრო დამოკიდებულია გემების მეთაურებზე, ვიდრე ჯარის მთავარსარდალი თავის ოფიცრებზე. უკანასკნელს შეუძლია, რომ პირადად უმეთაუროს ჯარებს, მისვლა მოასწროს ამა თუ იმ პუნქტზე და გამოასწოროს მცდარი მოძრაობანი. ადმირალს, პირიქით, გავლენა აქვს მარტო თავისი გემის ეკიპაჟზე.

* * *

ცეცხლი ახალი ჯარების მთავარი საშუალებაა.

* * *

დენთის გამოგონებამ განუზომელი გავლენა მოახდინა ომის სისტემის შეცვლაზე. ამ დროიდან კარგი გენერლის განმასხვავებელ ღირსებებს შეიცავს იმის მოქალაქეობრივი თვისებები, გონება, სწრაფი მზერა, მოსაზრებები, მართვის უნარი, მჭევრმეტყველება, ოღონდ არა სასამართლო, არამედ სამხედრო მჭევრმეტყველება, ჯარისკაცისთვის გასაგები, მეტადრე მაინც ადამიანების ცოდნა... მარტო ასეთი გენერალი, რომელიც თავის თავში აერთიანებს ყოველ ჩამოთვლილ თვისებას, თავს დაადგამს დიად საქმეებს.

* * *

უკეთუ გენერალს სხვა არცრა ეჭირვებოდა, თვინიერ სხეულებრივი ძალის და სიმამაცისა, ყოველ ჯარისკაცს შეეძლებოდა მთავარსარდლად გახდომა.

* * *

ჯარს უნდა შეეძლოს ყოველდღე, ყოველ ღამე და ყოველ საათს ისეთი წინააღმდეგობის გაწევისთვის მზადყოფნა, რის თავიც აქვს.

* * *

ომმა თავად უნდა ირჩინოს თავი.

* * *

ომში დასწრება გამარჯვებას ნიშნავს, დაგვიანება — განადგურებას.

* * *

ბრძოლის ველზე მალე ბერდებიან.

* * *

უკეთუ ჰანიბალი შეიტყობდა დიდი სენ-ბერნარის უღელტეხილზე ჩემი ჯარის გადასვლის ამბავს, თავის ალპურ მოგზაურობას მტკნარ წვრილმან საგებ, ...

ვინც ფლობს საქართველოს, ის ფლობს კავკასიას; ვინც ფლობს კავკასიას, ის მთელი ევრაზიის უზარმაზარ სივრცეზეა გაბატონებული

რუსეთის ხელისუფლებისადმი პრემიერის მიმართვა ისევ დღის წესრიგშია. ზოგმა ის კაპიტულანტურ პოლიტიკად აღიქვა, ზოგმა კი მიიჩნია, რომ ეს იყო მგლის თავზე სახარების კითხვა. რეალურად, როდესაც ოპოზიცია საუბრობს, რომ ეს მიმართვა საქართველოს ხელისუფლების არათანმიმდევრულობის მაგალითია, საინტერესოა, რა იქნებოდა თანმიმდევრულობა, ის ხომ არა, რაც ჩვენ გვახსოვს აგვისტოს ომის სახით, როდესაც კაპიტულანტურ პოლიტიკაზე ზუსტად მაშინ შეიძლებოდა საუბარი?!

დღეს ჩვენი ნომრის სტუმარია ანალიტიკოსი ვაშა ბერიძე.

— მე ხშირად მითქვამს და დღესაც ვიმეორებ: რუსებს კარგად ესმით ცნობილი სიბრძნე, ვინც ფლობს საქართველოს, ის ფლობს კავკასიას; ვინც ფლობს კავკასიას, ის მთელი ევრაზიის უზარმაზარ სივრცეზეა გაბატონებული და აკონტროლებს სიტუაციას. როცა რუსებმა საქართველო მტრად მოიკიდეს, ქართველი ხალხი და მისი ურყევი ნება მაინც ვერ გატეხეს, რომ ქართველი ერი თავისუფალი და დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო და საუკუნეების განმავლობაში ნალოლიავები საკუთარი ოცნება განეხორციელებინა. ეს არ იყო შემთხვევითი, სპონტანური ამბოხის შედეგი, რაც ვერ გააცნობიერეს რუსებმა, მაგრამ ამის გაცნობიერებას მოსკოვში ვიღაც-ვიღაცები უკვე იწყებენ. კრემლის იდეოლოგი დუგინიც კი გამოფხიზლდა ბოლო პერიოდში. ის ბრავადა, რომლითაც დღევანდელი რუსული პოლიტიკური ისტებლიშმენტი და მედია გამოირჩევა, მხოლოდ ზედაპირული ბრწყინვალებაა და მის მიღმა უამრავი პრობლემაა, რომელიც ასე ადარდებს დუგინსაც და სხვა კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანებსაც. ამიტომ რა არის ჩვენი ამოცანა? მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქის, მეომრისა და ვაჟკაცის — არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის ოჯახისთვის გადაცემა, თუ ამასთან ერთად, რუსეთთან ურთიერთობის გლობალური დალაგების სურვილი?

— ზურაბ აბაშიძე ირწმუნება, რომ პრემიერის ამ განცხადებაში რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის არანაირი მინიშნება არ ყოფილა. თუმცა, როგორც ჩანს, თქვენ ფიქრობთ, რომ ეს მიმართვა არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის თემატიკას სცილდება.

— ერთია რეალობა, პოლიტიკა და მეორეა დიპლომატიის ენა. ცალ-ცალკე ყველას გაშიფვრა სჭირდება. მოცემულ შემთხვევაში, ჩვენ ამ ორი პრობლემის პრიზმაში უნდა შევხედოთ პრემიერის განცხადებას. პირველი, აუცილებელია ცხედრის ოჯახისთვის გადაცემა, რამაც ჩიხში შეიყვანა არა მარტო კონფლიქტების მოწესრიგების პროცესი, არამედ საერთაშორისო არენაზე რეზონანსულობის თვალსაზრისით სერიოზული პრობლემა შეუქმნა ყველას. თუ ცოტათი წინ გავიხედავთ, უკვე დიდია ხანია, ქრისტემდეც, ქრისტეს აქეთაც და ქრისტეს შობის იქითაც, მტერი მტრად ითვლება მანამ, თუ ის ცოცხალია, ხოლო ყველა გარდაცვლილი პატივისცემას იმსახურებს და თავისი წესითა და რიგით უნდა დაიკრძალოს. ეს არა მარტო ოსებსა და რუსებს არ ეკადრებათ, არამედ სკვითებსა და სარმატებს, რომლებიც ოსების წინაპრებად ითვლებიან. ალანებსაც კი, რომლებიც მათი წინაპრები იყვნენ, განადგურებული მტრის მიმართ ასეთი არაადამიანური დამოკიდებულების ჩვევა არ ჰქონიათ.

მაინც ოპტიმისტი ვარ და მიმაჩნია, რომ სამუდამოდ ჩატეხილი ხიდიც შეიძლება გარკვეული მცდელობებით აღდგეს და რუსებმა კარგად გაიაზრონ, რასთან აქვთ საქმე. აქამდე ისინი ჩვენგან ელოდნენ, რომ რაღაც ნაბიჯებს გადავდგამდით. არადა, ჩვენი შიდა ოპოზიციის გააფთრებული პროპაგანდის ფონზე, ყოველდღიურად ანათემას რომ გადასცემდნენ თავიანთი მედიასაშუალებებით ახლად მოსულ ხელისუფლებას, ვერც ივანიშვილმა და ვერც მისმა პოლიტიკურმა მემკვიდრეებმა ვერ გაბედეს რაიმე ნაბიჯის გადადგმა რუსეთთან პირდაპირი დიალოგის დასაწყებად. რეალურად, ასეთი დიალოგის საჭიროება კარგა ხანია, მომწიფდა და დასაწყებიცაა, როგორი ძნელი და მძიმეც არ უნდა იყოს იგი. პარალელურად, ოსებთან და აფხაზებთან ასეთი დიალოგი ნებისმიერ ფორმატში უნდა წარიმართოს.

— არის ასეთი მოსაზრება, რომ ჩვენ თუ დაველაპარებით საოკუპაციო რეჟიმებს, ირიბად მათ დამოუკიდებლობას ვაღიარებთ.

— ასეთი მჟღერი განცხადებები კეთდება ხოლმე, რომ საოკუპაციო რეჟიმთან დალაპარაკების შემთხვევაში, ეს იქნება მათი ცნობა, რაც თითქოს დაუშვებელია. სინამდვილეში დე ფაქტო საოკუპაციო რეჟიმებთან დიალოგიც აუცილებელია, თუ ისინი ამას მიხვდებიან და ისეთ ცინიკურ განცხადებებს არ გააკეთებენ, როგორიც ცხინვალის საგარეო საქმეთა მინისტრმა მედოევმა გააკეთა.

— თქვენ დემეტრე თავდადებულის მაგალითი ხშირად მოგყავთ, რომელიც საილხანოში ჩავიდა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, რაც ელოდა. ახლა კი კვირიკაშვილი მიმართავს რუსეთის დღევანდელ ხელისუფლებას და ამუნათებს, რომ რუსებმა დღევანდელი დღისა და მომავალი თაობების წინაშე პასუხისმგებლობა გააცნობიერონ. სინამდვილეში, მომავალი თაობის წინაშე კი არა, დღევანდელი თაობის წინაშეც პასუხისმგებლობა კრემლის ახლანდელ მესვეურებს არა აქვთ და მათ არაფერი უშლით ხელს, რუსების სიცოცხლე პოლიტიკურ ინტერესებს შესწირონ. ამიტომ კვირიკაშვილის ეს მიმართვა მაღალფარდოვნად ხომ არ მოეჩვენებათ რუსებს?

— როგორც აღვნიშნე, კვირიკაშვილის დაგვიანებული განცხადება საუკეთესოდ შერჩეულ დროს ნამდვილად არ გაკეთდა, რადგან მოცემული განცხადება უეჭველად გაიჟღერებს ტატუნაშვილის მკვლელობის კონტექსტში. ტატუნაშვილის მკვლელობა და მისი პერიპეტიები კი რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის ახალი ფორმაა საქართველოს ხელისუფლებაზე. აქედან გამომდინარე, როცა ფაქტობრივი ზეწოლისა და შანტაჟის ფორმით განვითარებული მოვლენების ფონზე აკეთებს კვირიკაშვილი ამ განცხადებას, ცხადია, აქ ჩვენ უნდა დავუწუნოთ მას დრო და ფორმა ამ განცხადების გაკეთების. თორემ, თავისთავად, სწორია მოსაზრება, რომ აუცილებელია დიალოგი რუსეთსა და საქართველოს შორის, თუნდაც ისეთი მძიმე რეალობის პირობებში, როგორიცაა რუსების მიერ დამოუკიდებლად აღიარებული ორი ქართული მიწა და კიდევ ორი ე.წ. საელჩოს განთავსება საქართველოს ორ რეგიონში. ასეთი დიალოგის ფორმატი მაინც მოსაძებნია, ნაბიჯები გადასადგმელია. თუ ეს განცხადება გაკეთდა რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების მიზნით, ამ მხრივაც არ არის ურიგო.

ძალზე წინააღმდეგობრივი და მრავალასპექტიანია დასავლეთის ურთიერთობები რუსეთთან. მით უმეტეს, ტრამპის გამოჩენის შემდეგ. მეორე მხრივ, დედამიწაზე ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობის დღის წესრიგში ვერასდროს მოხვდება სირიაზე, იემენზე, უკრაინაზე, ორ კორეასა და ირანის ატომურ პროგრამაზე წინ. სად ვართ აქ ჩვენ? რა უნდა მოხდეს, რომ ამ დღის წესრიგში ჩვენ წინ წავიწიოთ? ალბათ, რაღაც მასშტაბური კატასტროფა, რომელშიც მრავალი მხარე ჩაებმება, როგორც ეს ხდება სირიაში. ჩვენი, ანუ კავკასიური ხანძარი სირიაზე მეტად ძნელი ჩასაქრობი იქნება, მიმდებარე პრობლემური რეგიონებითურთ (უკრაინასა და თურქეთს ვგულისხმობ, თავისი ქურთების პრობლემით). თუმცა ამან რუსეთის მიმართ დათმობისადმი არ უნდა განგვაწყოს. კომპრომისი არის დიპლომატიის პურიც, პოლიტიკის პურიც და უმნიშვნელოვანესი მომენტიც გონიერ ადამიანთა საზოგადოებაში, მაგრამ კომპრომისი და არა უპრინციპო დათმობა. არის თემები, რომლებიც დათმობას არ ექვემდებარება. ეს უნდა გააცნობიეროს ჩვენმა შიდა და გარე ოპოზიციამაც, გარე და შიდა ძალებმაც, რომლებიც არად დაგიდევენ რეალობას.

რამდენი დიალოგიც გადავდეთ რუსებთან, ვერაფერს მივაღწიეთ. „ნაციონალებმა“ რუსებთან ვერანაირი დიალოგი ვერ აწარმოეს, რაღაც მცდელობები იყო, იქითაქეთ მისვლა-მოსვლაც იყო, მაგრამ საბოლოოდ კონფრონტაცია ჩამოყალიბდა. ახლა ეს ხელისუფლება თან ერიდება რუსეთს, ბუნებრივია, ერიდება დასავლეთსაც, სტრატეგიულ მოკავშირეებსაც და, აქედან გამომდინარე, დღემდე არა აქვს თანმიმდევრული ხედვა და საგარეო პოლიტიკური კონცეფცია, რომელიც მისაღები და გასაგები იქნებოდა შიდა მოხმარებისთვისაც, პარტნიორებისთვისაც დასავლეთში და ჩვენი მოწინააღმდეგე რუსეთისა და ჩვენი მეზობლებისთვისაც, რომლებიც საკმაოდ მოქნილად, გონივრულად და გამჭრიახად არიან მიყუჩებულნი, თუ არ ჩავთვლით თურქეთისა და ირანის გაბრძოლებებს სხვადასხვა მიმართულებით. ისინი დისტანციიდან ადევნებენ თვალს გლობალურ და რეგიონულ პროცესებს.

— კვირიკაშვილის ამ ნაბიჯის გადადგმას იმანაც ხომ არ შეუწყო ხელი, რომ მსოფლიოში ბოლო პერიოდში ბევრი რამ იცვლება. სამტროდ განწყობილნი მოყვრად გადაიქცევიან. თურქეთი უკვე მოელაპარაკა რუსეთს და იარაღის შესყიდვასაც აპირებს მისგან; ასევე, ტრამპი მზადაა, დაელაპარაკოს კიმ ჩენ ინს. ეს მაგალითები გადამდები ხომ არ აღმოჩნდა საქართველოსთვის?

— ეს ნაბიჯებიც, ალბათ, გათვალისწინებულია. მათ, ვინც ასეთი ნაბიჯის გადადგმა გადაწყვიტა (ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილთან სავარაუდოდ გავლილი კონსულტაციის შემდეგ), გაითვალისწინა ეს ფაქტორები. აქედან მომდინარე პოლიტიკური რისკებიც კარგად აწონ-დაწონა. იმედი მაქვს, ასევე, რომ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს, აშშ-ს, ევროკავშირს, მათ წარმომადგენლებს, დიპლომატიურ კორპუსსაც მეთათბირნენ და ამცნეს თავიანთი მიზნების შესახებ. მათ დაუმტკიცეს, რომ ჩვენს ევროატლანტიკურ კურსს არც ერთ ეტაპზე არავითარი საფრთხე არ დაემუქრება. ბუნებრივია, ამ გზას შესაძლოა, მოჰყვეს რაღაც შედეგი. ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ადრე თუ გვიან გარდუვალია. ეს გარდუვალობა თვითონ რუსეთს უფრო დააზიანებს, ვიდრე ნებისმიერ სხვას. ერთსა და იმავე წრეზე დიდხანს ტრიალი არ შეიძლება. ამიტომ კვირიკაშვილის ნაბიჯი გაბედულია, მაგრამ რამდენადმე დაგვიანებული. უკეთესი დროის შერჩევაც შეიძლებოდა. ბატონი კვირიკაშვილი გახლავთ ქვეყნის პოლიტიკური ლიდერი, ამ კონსტიტუციური მოცემულობით, იგი მმართველობით იერარქიაში პირველი პირია. ამიტომ, თუკი შედგება ეს დიალოგი, სწორედ კვირიკაშვილმა უნდა წარმართოს. ვერ გეტყვით, რომ ასეთი დიალოგი უეჭველად შედგება, მაგრამ, თუ რუსული პოლიტიკის მამებს სიბრძნე შერჩენიათ, უნდა დააჩქარონ დიალოგი. იმედია, მათ არ შეაშინებთ ოსებისა და აფხაზების დამოკიდებულება გადასადგმელი ნაბიჯების მიმართ, რადგან ოსები, აფხაზები და ქართველები ყოველთვის მოძებნიან საერთო ენას, თუ ამაზე რუსეთისა და საერთაშორისო თანამეგობრობის ნება იქნება. ურთიერთობა უნდა შედგეს ლავროვს, კარასინს, სხვა მაღალჩინოსნებსა და კვირიკაშვილს შორის. ბუნებრივია, ამ დიალოგის მონაწილედ იგულისხმება პუტინი ან მედვედევი. თუ ჩვენი პოლიტიკური ლიდერი კვირიკაშვილია, რუსების პოლიტიკური ლიდერი პუტინია. სინამდვილეში, რეალურად მათი დიალოგი უნდა იყოს მთავარი, მაგრამ ასეთ ფორმალობას არ მივაქციოთ ყურადღება და ზოგადად ვთქვათ, რომ ეს დიალოგი უნდა შედგეს.

— როგორც თქვენ გიყვართ გამოთქმა, გამოცდილი ბებერი მგლის — ლავროვის წინაშე რამდენად ადეკვატური იქნება ქართული დიპლომატიის შესაძლებლობები?

— ლავროვი წარმოშობით თბილისელია, ქალანთაროვია გვარად, დედითა და მამით ეთნიკურად სომეხი. ლავროვი მისი მამინაცვლის გვარია. სხვათა შორის, ამ მხრივ მისი გაბედულობა იქცევს ყურადღებას. ერევანში ერთ-ერთი ვიზიტისას ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვაზე მან თქვა, რომ დიახ, ჩემი წინაპრები არიან თბილისიდან და მე ვარ ეთნიკურად სომეხი. ეს მას კარგად ახასიათებს, როგორც ადამიანს. თუმცა, როგორც პოლიტიკოსი, არასწორ იდეებს ემსახურება. ერთი შეხედვით, შეიძლება ეს რუსეთისთვის სასარგებლო იდეებიც იყოს, როგორც რუსებს მიაჩნიათ, მაგრამ, თუკი კრემლის იდეოლოგს — ბატონ დუგინს და ამ დღეებში გამოქვეყნებულ მის მსჯელობას მოვუსმენთ, იგი საუბრობს გაქრობისა და უფსკრულისკენ რუსეთის დაქანების შესახებ. ასეთ პირობებში გიორგი კვირიკაშვილმა და ქართულმა დელეგაციამ უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ შეხვედრაში და არა მარტო მათ, სხვა დონეზეც უნდა წარიმართოს შეხვედრები.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

რუს დიპლომატებს პოლონეთიც გაიწვევს

პოლონეთი სკრიპალის საქმესთან დაკავშირებით, ლონდონის სოლიდარობის მიზნით, რუსი დიპლომატების გაწვევის საკითხს განიხილავს, — იუწყება Gazeta Prawna-ი.

მისივე ცნობით, ვარშავაში ასევე განიხილავენ სანქციების შემოღებას მოსკოვთან მიმართებაში, რომელიც მიმართული იქნება რუსული კომპანიებისა და მაღალჩინოსნების მიმართ. დისკუსიები ამ საკითხებთან დაკავშირებით წინა კვირიდან დაიწყო, თუმცა შედეგები რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებამდე გადადეს.

პოლონეთის ხელისუფლების აზრით, საუკეთესო საშუალება იქნებოდა ევროსაბჭოს დონეზე გაგვეტარებინა ერთობლივი მოქმედებები რუსეთის წინააღმდეგ. თუკი ევროპული სახელმწიფოები ვერ მოახერხებენ, შეჯერდნენ ერთობლივ პასუხზე, ვარშავას შუძლია, დააწესოს პირადი შეზღუდვები მოსკოვის წინააღმდეგ.

◎ ხალხო, ეს უნდა იცოდეთ!

მამღიღრეების „იაფ“ წამლებს მარტო თვითონ სვამენ...

ჩვენ „ძვირ“ სუროგატებს გვასმევენ!..

დიახ, აუცილებლად უნდა იცოდეთ, რაც ცოტა ხნის წინათ მე შემემთხვა, ალბათ, ბევრ სხვასაც შემთხვევია, მაგრამ ისევე, როგორც მე ვფიქრობდი თავიდან — ეს რაღაც პატარა გაუგებრობაა და უნდა დავივიწყომეთქი, ალბათ, ასევე ფიქრობდნენ სხვებიც. ან უბრალოდ, ყოველივე ამის გასააზრებლად, ალბათ, არც დრო ყოფნიდათ და არც მოთმინება...

ახლა წარმომიდგენია, მკითხველო, აღარც თქვენ გყოფნით მოთმინება. ფიქრობთ, განა, რის თქმა უნდა ამ ოხერს და, როგორ ვეღარ ამოთქვაო და თქვენი მოთმინება საბოლოოდ რომ არ გავანიავო, მოკლედ მოგიყვებით იმას, რაც მე გადამხდა ცოტა ხნის წინათ და მტკიცედ მჯერა, გაოცდებით და საბოლოოდ დარწმუნდებით, რომ ეს მართლაც უნდა იცოდეთ....

პატარა პრობლემა შემექმნა და ექიმს მივაკითხე. ერთმა გამსინჯა, მეორემ, მესამემ, ყველანაირი ანალიზები ამიღეს და დამარწმუნეს, ყოველ შემთხვევაში საშიში მაინც არაფერი გჭირსო, და გულის დასამშვიდებლად ორი წამალი გამომიწერეს.

მოგვიანებით „პსპ“-ს აფთიაქში (ვაჟა-ფშაველას 41-ში) მივედი (19.02.2018. 18 საათსა და 35 წუთზე) და ვიყიდე ერთი იმათგანი, რომელსაც მილდრონატი ჰქვია და 14 ლარი და 14 თეთრი გადავიხადე (დაიხსომეთ ეს თანხა, გამოგადგებათ), მეორე წამალზე კი მითხრეს — არა გვაქვსო, და მაშინ იმ გოგონას, ფარმაცევტს ვთხოვე: — თქვენ მიერ მოცემული წამალი ამ ქაღალდში აღმინიშნე-მეთქი და იმანაც ექიმის მიერ ამობეჭდილ ქაღალდში მეორე წამალი აღნიშნა და წამოვედი. სხვაგან მისი მოძებნა არ

მიცდია, რადგან მათი დალევის დაწყებას არ ვჩქარობდი. რაღაც დროის შემდეგ (22.02.2018. 20 საათსა და 03 წუთზე ისევ პსპ-ს სხვა აფთიაქს მივაკითხე დელისის მეტროსთან, მაგრამ ტეტროსეპტი ომეგა-3 (სახელმა არ შეგაშინოთ, სულ რაღაც თევზის ქონია), არც იქ აღმოაჩნდათ.

იქვე, დელისის მეტროსთან მდებარე „ჯიპისის“ აფთიაქს მივაკითხე, და ვთხოვე, აღნიშნული რომელიც არ არის, ის წამალი მინდა-მეთქი. მიპასუხეს ეს წამალი 60 აბი 27 ლარი და 60 თეთრი ღირსო. კი, ბატონო მომეცით-მეთქი და იმანაც შეფუთული გადმომცა. სამუშაოდან მოვდიოდი და სახლში რომ მივედი, წამალი აღარ-ცკი გამხსენებია, ვჭამე და მერე წამოვწექი და საკმაოხნიანი დასვენების შემდეგ რომ ავდექი, გადავწყვიტე, წამლებისთვის მიმეწერა, როდის და როგორ უნდა დამელია, როგორც ეს ექიმის მიერ მოცემულ ამობეჭდილ ქაღალდში იყო ნაჩვენები.

ახალი ნაყიდი წამალი ამოვიღე და ძველს გვერდით მივუდე. უცბად მივხვდი, რომ ორივეს შეფუთვა ერთნაირი იყო და საუბედუროდ ყველა წარწერაც. „ჯიპისიში“ ის კი არ მოუციათ, რომელიც აღნიშნული არ იყო, არამედ ის, რომელიც აღნიშნული იყო და ადრე უკვე მქონდა ნაყიდი 14 ლარად და 14 თეთრად. იგივე წამალი, იგივე შეფუთვით, იგივე რაოდენობის, უბრალოდ იდენტური ახლა უკვე „ჯიპისიში“ 27 ლარად და 58 თეთრად მომყიდეს და სწორედ ეს 27 ლარი და 58 თეთრი იყო მიზეზი იმისა, რომ ოდნავადაც არ დავეჭვებულვარ, რომ ეს სხვა წამალი იქნებოდა და, ალბათ ორჯერ უკეთესი და ამიტომაც თითქმის ორჯერ უფრო ძვირიც

კარგად რომ დავუფიქრდი ჩემს კურიოზულ თავგადასავალს, ჯერ გამეცინა იმაზე, რომ ასეთ სასაცილო მდგომარეობაში ჩავიგდე თავი, მერე ისიც გავიაზრე — იგივე წამალი ლამის ორჯერ — 13 ლარითა და 44 თეთრით მეტიც რომ დამიჯდა, ვიფიქრე ეს, ალბათ, უბრალო შეცდომაა, მივალ „ჯიპისიში“ და გავარკვევ, რაშია-მეთქი საქმე.

იქ ბოდიში მომიხადეს, რომ შეცდნენ და იგივე წამალი მომცეს. მე ისე გავიგე, აღნიშნული გინდოდათ, და ბოდიშიო. ამას უკან დავიბრუნებთ და მეორეს მოგცემთო.

ძალიან კარგი, მაგრამ ფასზე, რაღას მეტყვით-მეთქი, ფასიც ხომ შეგეშალათ.

რას ბრძანებთ, ჩვენთან ეს წამალი ასე ღირს, შეიძლება პსპ-ს ბარათი გქონდათ და იმიტომ მოგცეს იაფადო. არ ვიცი, შეიძლება ბარათმა ფასი გაანახევროს? — რა თქმა უნდა, არა! მეორე წამლის ფასადაც იგივე 27 ლარი და რაღაც თეთრები დამისახელეს. პსპ-ს სხვა აფთიაქში სადაც ის წამალი ვიყიდე, მითხრეს, აქაც 27 ლარი და რაღაც თეთრები ღირს, მაგრამ რაკი ბარათი გაქვთ 20 ლარი და 54 თეთრი გექნებათ გადასახდელიო ე. ი. დაახლოებით 7 ლარით და არა 13 ლარითა და 44 თეთრით ნაკლები, როგორც ეს „ჯიპისიში“ ამიხსნეს.

ასე რომ, ხალხო, თქვენ ეს ნამდვილად უნდა იცოდეთ, რომ მწარედ გვატყუებენ, გვძარცვავენ, მასხრად გვიგდებენ. აბა, წარმოიდგინეთ, ერთი და იგივე წამალს ერთგან 14 ლარად და 14 თეთრად ყიდულობთ, მეორეგან ის 13 ლარითა და 44 თეთრით მეტი, 27 ლარი და 58 თეთრი ღირს. როგორც ხედავთ, წამლები თავის ფასზე მინიმუმ ორჯერ და მეტად არის გაძვირებული და ეს ყველამ უნდა იცოდეს! ამ საკითხს მედიამაც და ხელისუფლებამაც უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს და არ მისცეს აფთიაქთა მფლობელთ საწყალი ხალხის ჯიბეებიდან ამოღებული არამი ფულით (წამლით) გამდიდრების საშუალება.

გთავაზობთ ქვითრებს ორივე აფთიაქიდან.

ნოდარ ბერიძე,
ქ. თბილისი

რედაქციისგან: იმედია, შესაბამისი ორგანოები დროულად და პრინციპულად გამოეხმაურებიან მოქალაქე ნ. ბერიძეს, რომელიც ხალხის უმრავლესობის აზრს ფრიად სამწუხარო სიმართლით გამოხატავს.

◎ წარდგინება

როცა ორი სათაურიც საჭიროა და ორი მომხსენებელიც

ასეთი რამ იშვიათად ხდება: ლიტერატურის ინსტიტუტში, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მორიგ „სამშაბათობაზე“, ერთი ავტორის ორი წიგნი წარმოგვიდგინეს — პოეტური და პროზაული კრებულები.

ორივე რომ საყურადღებო და მნიშვნელოვანი არ ყოფილიყო, **როსტომ ჩხეიძე** ასეთ პატივს არ მიაგებდა.

მომხსენებელიც ორი იყო: **სალომე კაპანაძემ** პოეტური კრებული განჩხრიკა და შეაფასა; როსტომმა — პროზაული.

თვითონ ავტორი კი ისეთი მოღუშული სახით იჯდა, თითქოს, ეს ყველაფერი, ეს ღრმა ანალიზი და დამსახურებული ქება ვიღაც სხვას ეკუთვნოდა.

ასეთია **სოსო მეშველიანი:** ნაღდი, უბრალო, თავმდაბალი...

გზადაგზა კი გვიკითხავდა ლექსებს, მაგრამ ამ კითხვაში თავმოწონების ნატამალსაც ვერ დაინახავდით.

მხოლოდ **თამარელა წოწორიას** გამოსვლამ გაამხიარულა, საინტერესო დაკვირვებებს გალაკტიონთან პარალელიც რომ მოაყოლა — ორი დიდი მეცნიერის მსგავსად, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად რომ მისულან ერთსა და იმავე აღმოჩენამდე, ამათ, ასე ცალ-ცალკე, ერთი და იგივე რითმა აღმოუჩენიათ.



ამ გამხიარულებაში, ამ სუფთა ღიმილშიც გამოჩნდა სოსო მეშველიანის პიროვნული ღირსება.

მანამდე კი იყო კიდევ რამდენიმე საინტერესო გამოსვლა: **თამილა ზვიადაძის** სერიოზული ლინგვისტური ანალიზი, **შორენა ლებანიძის** საინტერესო დაკვირვებანი, **პაატა ჩხეიძის** წონიანი შეფასება; **ლალი მიქაძის** ბუნებრივად დაბადებული შეკითხვა... იყო სტუდენტის სტუდენტური გამოსვლაც. მართალია, **სალომე ბენდელიანი** ღელავდა. ასეთი აუდიტორიის წინაშე პირველად გამოდიოდა, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვან შტრიხზე მიგვითითა — მაგიურ რეალიზმთან დაკავშირებით. მეორე გამოსვლა უკეთესი იქნება, მესამე — კიდევ უფრო. ამ შეხვედრების დანიშნულება ხომ ასპარეზზე ახალგაზრდების გამოყვანაცაა.

არ დაგვავიწყდეს იმის აღნიშვნა, რომ თავყრილობას ჩვეული სიდარბაისლით უძღვებოდა **ნინო ვახანია**.

მოკლედ, საგაზაფხულო სეზონი ორბელიანის საზოგადოებამ უდავოდ კარგი კრებულების წარდგინებით გახსნა.

კარგი კაცის კარგი კრებულებით!

მაინც, რა დიდებული სანახავია შემოქმედისა და პიროვნების მთლიანობა?!

იმ დღეს სწორედ ეს ვნახეთ...

იოსებ ჭუმბურიძე



გამოვიდა **მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ 2018 წლის პირველი ნომერი, რომელიც იხსნება ზაალ ბოტკოველის წერილით — „შენ, საქართველოს ჭირისუფალო...“ წერილი ეძღვნება ჩინებულ პოეტსა და პუბლიცისტს, ბატონ თემურ ჩალაბაშვილს.** „მხატვრული ლიტერატურის“ რუბრიკაში დაბეჭდილია **ფარნა რაინას** დღევანდელობის ამსახველი კატრენები. ასევე ქვეყნდება: **ზვიად ნეფარიძის, მაყვალა ზურაბაშვილის, მაკა გელაშვილის, მალხაზ მაჭავარიანის, ბადრი სულაძისა და მაია მიქაიას** ლექსები; **ნუნუ ძამუკაშვილის** საბავშვო ლექსები კი გაფორმებულია ახალგაზრდა მხატვრის **ნათელა (ნათია) შალამბერიძის** ილუსტარაციებით. ამავე რუბრიკით ქვეყნდება **გივი ჩიღვინაძის** მოთხრობა „ცისკენ მიმავალი ბილიკი“, რომელიც 2017 წელს გახდა რევაზ ინანიშვილის სახელობის ერთი მოთხრობის კონკურსის ნომინანტი. ასევე იბეჭდება: **როლანდ გიორგაძისა და მაია დიაკონიძის** მოთხრობები. რუბრიკით „დოკუმენტური პროზა“ ქვეყნდება **ცირა აფციაურის** „რაც ხელისგულზე არ იკითხება“. „თარგმანის“ რუბრიკა წარმოგიდგენთ **ჯულია დონალდსონის** „პრინცესა მირორბელი და მფრინავი ცხენი“ გაგრძელებას — მთარგმნელი **ნინო ძამუკაშვილი.** რუბრიკით „განსხვავებული თვალსაზრისი“ დასტამბულია **ნინო ტარყაშვილის** „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“. წერილების რუბრიკა გთავაზობთ **ნანა რჩეულიშვილისა** და **ნათია მჭედლიშვილის** წერილებს.

ლიტერატურული ჟურნალი „ოლე“ №1

ჟურნალ „ოლეს“ ეს ნომერი გაფორმებულია ჩინებული თელაველი მხატვრის **ზვიად მექვაბიშვილის** ნამუშევრებით.

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი **შოთა ნარეკლიშვილი**) მხარდაჭერით.

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

ოქროს აკორდი „დინამო არენაზე“

ხუთიდან ხუთი მოგება — ასეთი მონაგრით დაასრულა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 2018 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატი. „ბორჯღალოსნებმა“ „დინამო არენაზე“ გამართულ ბოლო შეხვედრაში რუმინეთს სძლიეს 25:16, ჩემპიონობა მეათედ მოიპოვეს და ანთიმოზ ივერიელის სახელობის თასი მეთერთმეტედ აღმართეს.

მატჩი, რომელსაც 55.000 მაყურებელი დაესწრო, მასპინძელთა იერიშებით დაიწყო და მერვე წუთზე სოსო მათიაშვილმა ზუსტი საჯარიმო დარტყმით საქართველოს ნაკრები დააწინაურა. სამ წუთში სტუმრებმა, ასევე, საჯარიმოთი წონასწორობა აღადგინეს — 3:3. პაექრობის მე-20 წუთზე არბიტრებმა ბადიუ გაასინბინეს და 14 კაცის ამარა დარჩენილმა კარპატელებმა შერკინება დათმეს, რასაც ლაშა ლომიძის ლელო მოჰყვა, ხოლო გარდასახვა მათიაშვილმა უნაკლოდ შეასრულა. პირველი ტაიმის მიწურულს ყვითელი ბარათი გიორგი ნემსაძემ დაიმსახურა, რუმინელებმა კი ისევ ჯარიმით ანგარიშში სხვაობა ოთხ ქულამდე დაიყვანეს — 10:6.

შესვენების შემდეგ „ბორჯღალოსნებს“ უპირატესობა ხელიდან არ გაუშვიათ. მატჩის ბედი მეორე ტაიმის დასაწყისშივე გადაწყდა, როცა ანზორ სიჭინავამ ლელო გაიტანა და მათიაშვილმა ისევ ზუსტად გარდასახა. საბოლოოდ საქართველოს ნაკრებმა რაგბი ევროპის 2018 წლის ჩემპიონატის ბოლო თამაშში მთავარი მეტოქე 25:16 დაამარცხა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩემპიონობა მეათედ მოიპოვა, თან ანთიმოზ ივერიელის თასი დაიბრუნა. შეხვედრის შემდეგ ქართველებზე არანაკლებ იყვნენ გახარებული რუმინელები, რომლებმაც მსოფლიოს თასის 2019 წლის გათამაშების ფინალურ ეტაპზე გამოსვლის უფლება მოიპოვეს. საქმე ის არის, რომ კარპატელთა უშუალო კონკურენტი ესპანეთი რუმინელი მსაჯის ძალისხმევით ჩემპიონატის ბოლო მატჩში სტუმრად ბელგიასთან 10:18 დამარცხდა. რუსებმა გერმანელებს 57:3 აჯობეს.

„დინამო არენაზე“ მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობით იასპარეზეს:

საქართველო: კვირიკაშვილი (თოდუა, 64), სიჭინავა, კაჭარავა, კვესელაძე (მალაღურაძე, 77), მათიაშვილი, ხმალაძე, ლობჟანიძე (აფრასიძე, 72), ნარიაშვილი (ასიეშვილი, 52), მამუკაშვილი (ალხაზაშვილი, 55), ჩილაჩავა (მელიქიძე, 57), ნემსაძე, ჭეიშვილი (სუთიაშვილი, 55), თხილაიშვილი, კოლელიშვილი (გაჩეჩილაძე, 55), ლომიძე.

რუმინეთი: ფერკუ (სიმონესკუ, 70), ფონოვაი, კინიკინილაუ (ფაკაოსილეა, 41), ვლაიკუ, დუმიტრუ, უმანგა, სურუჯუ (კალაფეტეანუ, 63), ბადიუ (ლაზარი, 71), კაპატანა (რადოი, 59), ტარუსი (პრისტავიტა, 60), ვან ჰირდენი, პოპირლანი, სიფოსეთუ (კირიკა, 67), კუსელო, ბურეა (მოცოკი, 77).

მსაჯი: ლუდოვიკ კეირი (საფრანგეთი).

მატჩის შემდეგ:

მილტონ ჰეიგი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „წლევანდელ რაგბი ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი ასპარეზობა დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან ყველა მატჩი მოვიგეთ. მადლობა მორაგბეებს. ახლა კი მთავარი 2019 წლის მსოფლიოს თასისთვის მომზადებაა. ყველა თამაში და ვარჯიში სწორედ ამ მიზანს მოემსახურება“.

ლინ ჰოუელსი, რუმინეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „იმის მიუხედავად, რომ მსოფლიოს თასზე გავედით, დაპირებას არ ვცვლი და თანამდებობიდან მივდივარ. იოლი არ იყო ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ შარშან გერმანიასთან და წლეულს ესპანეთთან მარცხის შემდეგ ვიღაცას პასუხისმგებლობა უნდა აეღო და ეს მე გავაკეთე. მიხარია, რომ რუმინეთი მსოფლიოს თასზე გავიდა და გუნდს ასეთ სიტუაციაში ვტოვებ“.

ექვსი ერის თასი. მეხუთე ტური.

ინგლისი — ირლანდია 15:24, უელსი — საფრანგეთი 14:13, იტალია — შოტლანდია 27:29.

საბოლოო მდგომარეობა:

ირლანდია — 5, საფრანგეთი, უელსი, შოტლანდია, ინგლისი — 2-2, იტალია — 0 მოგება.

ასე რომ, ირლანდიამ ტურნირი შლემით დაასრულა, ხოლო იტალიამ ხის კოვზი დაიმსახურა.

ლექსო ციცაძე

	თ	მ	ფ	წ	სხვ.	ქ
საქართველო	5	5	0	0	+153	24
რუმინეთი	5	3	0	2	+118	14
ესპანეთი	5	3	0	2	+72	13
რუსეთი	5	2	0	3	+58	11
ბელგია	5	2	0	3	-76	9
გერმანია	5	0	0	5	-325	0

◎ ჩანახატი

ანთიმოზი

უძეიფოდ მყოფი კოჩია ვერის ბაღში გრძელ სკამზე იჯდა ჩაფიქრებული.

გვერდით ახალგაზრდები ჩამოუსხდნენ ხმაურით. ლაპარაკს არ აცლიან ერთმანეთს. მთავრობის პოლიტიკა გააქვთ და გამოაქვთ ხერხივით.

ბევრი ითმინა და...

— ბიჭებო, რაგბი თუ გიყვართ? — ჰკითხა მოულოდნელად.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— როგორ არა, სტადიონზეც დავდივართ საყურებლად, — უპასუხა ერთმა.

— რუმინეთთან შეხვედრას თუ დაესწარით?

— რა თქმა უნდა, — დაამატა მეორემ.

— ჩვენებმა ანთიმოზ ივერიელის თასი რომ აართვეს სტუმრებს, ის კაცი საქართველოს ნაკრებში რომელ პოზიციაზე თამაშობდა, თუ იცით?

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

— მგონი, დაცვაში, — ძლივს ამოღერღა გვერდით მჯდომმა.

— არა... როგორც ვიცი, შერკინებაში, — შეუსწორა მეორემ.

— რას ამბობ, ბიჭო, — ფეხზე წამოდგა მესამე, — ის კაცი დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა და ლელობურთელი იყო...

ცნობისთვის: *მწიგნობარი, მესტამბე, განმანათლებელი, პოლიტიკური და საეკლესიო მოღვაწე ანთიმოზ ივერიელი გახლდათ სამცხე-საათაბაგოში დაბადებული ქართველი, რომელიც თურქებმა ტყვედ გაყიდეს. 1691 წელს მან ბუქარესტში დააარსა სტამბა და კარპატელებს მშობლიურ ენაზე პირველი წიგნი დაუბეჭდა. უდიდესი წვლილი შეიტანა რუმინული სალიტერატურო ენის განვითარებაში. 1705 წელს ანთიმოზი ეპისკოპოსად, ხოლო 1708 წელს უნგროვლახეთის მიტროპოლიტად აკურთხეს. 1716 წლის 12 სექტემბერს თურქმა იანიჩარებმა ხმლებით აკუწეს. 1992 წელს რუმინეთის ეკლესიამ ანთიმოზ ივერიელი წმინდანად შერაცხა.*

ვაჟა დანელია

◎ ჭადრაკი

ვის უნდა 20.000?

ბათუმში დაიწყო მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატი, რომელშიც 34 ქვეყნის 302 წარმომადგენელი მონაწილეობს, მათ შორის — 51 რუსი, 34 სომეხი, 32 ქართველი, 29 აზერბაიჯანელი და 22 უკრაინელი. შეჯიბრების საპრიზო ფონდია 100.000 ევრო. 11-ტურიანი მარათონის შემდეგ გამარჯვებული ოქროს მედალთან ერთად 20.000 ევროს დაიმსახურებს, ხოლო ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები შედარებით მოკრძალებული თანხით — შესაბამისად, 15.000 და 10.000 ევროთი დაჯილდოვდებიან.

პირველ ტურში ახალგაზრდა ქართველმა მოჭადრაკე ირაკლი ბერაძემ (რეიტინგი — 2464) თეთრი ფიგურებით მსოფლიოს ექს-ჩემპიონ რუსლან პონომარიოვს (უკრაინა, 2697) აჯობა, 16 წლის ნიკოლოზ კაჭარავა დიდოსტატ დავიდ პარავიანს (რუსეთი) დაუზავდა, მერი არაბიძემ კი მიხაილ ანტიპოვს (რუსეთი) სძლია. საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ლიდერმა, ევროპის ჩემპიონატების ორ-ორი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლის მფლობელმა ბაადურ ჯობავამ ლუკა დრაშკოვიჩს (მონტენეგრო) შავი ფიგურებით მოუგო. წარმატებით ითამაშა საქართველოს ნაკრების წევრმა ლევან ფანცულაიამ, რომელმაც არკადი შეველიოვი (ისრაელი) დაამარცხა. საქართველოს წლევანდელმა ჩემპიონმა მიხეილ მჭედლიშვილმა თანამემამულე აკაკი ახვლედიანს მოუგო, ვერცხლის პრიზიორი დავით ჯოჯუა სტეფან პოღოსიანს (რუსეთი) შეუთანხმდა ყაიმზე, ხოლო მესამეადგილოსანმა თორნიკე სანიკიძემ სომეხი ალენ იერემიანი დაჯაბნა.

მეორე ტურში კვლავ იმარჯვა ფანცულაიამ — თეთრი ფიგურებით უკრაინელ სერგეი პავლოვს გაიჩერებინა საათი, ჯოჯუამ კი ანტონ კონაპლიოვს (რუსეთი) მოუგო. ყაიმზე შეთანხმდნენ: ჯობავა — ლუკა მორონი (იტალია), თბილისელი დავით არუთინიანი — კასპერ პიორენი (პოლონეთი), ბენჟამინ ბოკი (ჰოლანდია) — დავით მაღალაშვილი, არტურ გაბრიელიანი (რუსეთი) — მიხეილ მჭედლიშვილი, ხოსეპ მარტინეს ლოპესი (ესპანეთი) — მერი არაბიძე.

ლაშა დიდია

ლევან ფანცულაია

◎ ჩოგბურთი

მთავარი პრიზი იტალიიდან

ორი ქართველი მონაწილეობდა იტალიურ სანტა მარგარეტა დი პულაში გამართულ ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი). ჩვენებმა შესანიშნავად იასპარეზეს წყვილთა თანრიგში — ეკატერინე გორგოძემ და სოფიო შაფათავამ ზედიზედ ოთხ მეტოქეს სძლიეს: ჯერ ხორვატები — ტენა ლუკაში და ანა ვრლიჩი დაჯაბნეს — 6:4, 7:6, შემდეგ მასპინძლები — მარინა კარაგერო და ფედერიკა დი სარა ჩამოიშორეს გზიდან - 7:6, 6:0. ნახევარფინალში მათი ბედი გაიზიარეს მეორე ნომრად განთესილმა მანონ არკანჟოლიმ (საფრანგეთი) და მიხაელა ჰონკოვამ (სლოვაკეთი) — 0:6, 6:7. გადამწყვეტ პაექრობაში ქართველებმა გერმანელებს — კატერინა გერლაჩსა და ლენა რუეფერს საათსა 33 წუთში მოუგეს - 6:4, 7:6 და მთავარი პრიზი დაიმსახურეს.

გივი გაგუა

◎ ნანოტექნოლოგიები

სნეულებებთან ბრძოლა: გარღვევები წინა ხაზზე

ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული მთელი მსოფლიოს ფუტუროლოგები ერთხმად აცხადებდნენ, რომ 21-ე საუკუნე ან საკომუნიკაციო სფეროში რევოლუციური დარღვევებისა და ასევე სამეცნიერო მიღწევების დრო იქნებოდა, ანდა დედამიწაზე საერთოდაც არაფერი იარსებებდა. როგორც ამჟამად სკოლამდელმა პატარებმაც იციან საკომუნიკაციო სფეროში ახლანდელი მიღწევების მიახლოებითი პროგნოზირებაც, ჯერ კიდევ საუკუნის პირველ ათწლეულში საკმაოდ ძნელი საქმე იყო, ახალგაზრდა მეცნიერთა თანამედროვე მიგნებები კი, რომელთა შესახებ წინამდებარე მასალაში მოგითხრობთ, ყველაზე გაბედულ მეცნიერებე ფანტაზიორებს აზრადაც არ მოუვიდოდათ.



ყველა პროექტი, რომელთა შესახებ მასალაშია მოთხრობილი, საერთაშორისო პროექტის „საიენს სლიმის“ ფარგლებშია მომზადებული.

კიბოს უჯრედების წერტილოვანი განადგურება. ონკოლოგიურ დაავადებათა დროს სხივურ თერაპიას იყენებენ. მისი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ის არა მარტო კიბოს, არამედ ჯანმრთელ უჯრედებსაც ანადგურებს, ამიტომაც ძნელი ასატანია და ორგანიზმზეც უარყოფითად მოქმედებს.

ვლადივოსტოკის წყნარი ოკეანის სამედიცინო უნივერსიტეტში ამჟამად სხივური თერაპიისთვის წამალს ამუშავებენ, რომელიც ჯანმრთელ ქსოვილს არ შეეხება. საამისოდ ტანტალის, მძიმე ლითონის ნანონაწილაკების გამოყენებას აპირებენ, რომლებიც კიბოს უჯრედებზე წერტილოვნად მოქმედებენ და სხივური თერაპიის ზემოქმედებას გააძლიერებენ.

ახალი პრეპარატის გამოშვებას გელის სახით აპირობებენ, რომელსაც ქირურგები ოპერაციამდე სიმსივნიან ადგილს წაუსვამენ.

3D-პრინტერზე დაბეჭდილი სისხლძარღვები. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, გულისა და სისხლძარღვთა დაავადებებს ყოველწლიურად 15 მილიონი კაცის სიცოცხლე ეწირება. სისხლძარღვთა სისტემა მრავალსართულიან სახლში წყალმომარაგების სისტემას ჰგავს — იგი ისეთივე განტოტვილია და მასშიც ასევე ხშირად წარმოიშვება საცობები (ტრომბები). ახალგაზრდა მეცნიერები შუნტირების მეთოდის სრულყოფის იდეას აყენებენ (ამ შემთხვევაში ვენას ჭრიან, მას მსხვილი სისხლძარღვის აღსადგენად და სისხლის ნაკადისთვის „შემოვლითი გზის“ შექმნას ახმარენ). მისი რეკონსტრუქციისთვის პოლიმერული მასალებიდან განსაკუთრებით მტკიცე მასალების გამოყენებას გეგმავენ, რომელთა 3D-პრინტერზე დაბეჭდვა იქნება შესაძლებელი.

დიაგნოსტირება ამოსუნთქული ჰაერით. ნივთიერებათა ფიზიკო-ქიმიური ანალიზის ერთ-ერთი მეთოდია ქრომატოგრაფია, რომელიც მისი ხარისხობრივი და ოდენობითი ანალიზის ჩატარების შესაძლებლობას იძლევა. მედიცინაში იგი აქტიურად გამოიყენება ბიოლოგიური სითხეების (სისხლის, შარდისა და ა.შ.) ანალიზის დროს. სასამართლო მედიცინაში, მოწამვლასთან ან ფეთქებად ნივთიერებათა გამოყენებასთან დაკავშირებული არც ერთი დანაშაულის გამოძიება არ ხდება გაზური ქრომატოგრაფიის გამოუყენებლად. პრობლემა ისაა, რომ სერიოზული გაზის ქრომატოგრაფები გამოკვლევათა ადგილზე ჩატარების შესაძლებლობას არ იძლევიან — ისინი ზედმეტად მოუხერხებლები არიან, ნელა მუშაობენ და დიდძალ ენერგიას მოიხმარენ. სამარელი მეცნიერის მიერ შექმნილი ქრომატოგრაფი სტანდარტულზე 70-ჯერ მცირეა, ენერგიას 250-ჯერ ნაკლებს მოიხმარს, ზომის შემცირების ხარჯზე ანალიზის ჩატარების სისწრაფე კი 50-ჯერაა გაზრდილი. ეს მისი ადგილზე გამოყენების შესაძლებლობას ჰქმნის, მაგალითად, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში — აეროპორტებში, ვაგზლებში, სავაჭრო ცენტრებსა და სხვა — ჰაერში ფეთქებადი ნივთიერებების გაფრქვევის დადგენას. იმის გასარკვევად, კაცმა ნარკოტიკი მოწია თუ დაყნოსა, აღარ იქნება საჭირო ძვირად ღირებული ანალიზების ჩატარება — ასეთი ექსპერტიზის ჩატარება ადგილზე იქნება შესაძლებელი. ქრომატოგრაფის გამოყენების ახალი პერსპექტიული მიმართულებაა დაავადებათა დადგენა ამოსუნთქული ჰაერით.

მკურნალობა აბების გარეშე. ჩვენი ორგანიზმის უჯრედები გარკვეულწილად, ნანოფაბრიკებია. მათი მუშაობა ქიმიური ქარხნების მუშაობას ჰგავს, სადაც ერთმანეთში სხვადასხვა რეაგენტები ირევა, საჭირო ნივთიერებათა სინთეზი მიმდინარეობს, მაგრამ მოლეკულური მანქანების ხელოვნური ჰიბრიდული მასალით შეცვლა შეიძლება. სინათლის ზემოქმედებით ასეთ მასალაში გარკვეული რეაქციების ჩართვა და საჭირო ნაერთის მიღება შეიძლება. ეს, კერძოდ, წამლის უშუალოდ ორგანიზმში, სადაც საჭირო ადგილსა და საკმარისი ოდენობით სინთეზირება იქნება შესაძლებელი, რაც ძალზე მოსახერხებელია ქრონიკული დაავადებით შეპყრობილი პაციენტებისთვის, რომლებიც იძულებულნი არიან გარკვეული აბები სიცოცხლის ბოლომდე სვან.

თუკი ორგანიზმის გარკვეულ ნაწილში ბიოჩიპს შევიყვანთ, რომელშიც რაღაც წამლის, ვთქვათ, წლიური მარაგი იქნება მოთავსებული, ჰიბრიდული მასალის ანუ ფოტოკატალიზატორის მეშვეობით, სინათლის ზემოქმედებით, ამ წამლის გარკვეული დოზის გააქტიურება პირდაპირ ადამიანის კანქვეშ იქნება შესაძლებელი.

ნინო ალექსანდრია

„თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ ყოფილმა თანამშრომელმა სასამართლო მოუგო

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ გათავისუფლებულმა თანამშრომელმა სასმართლო მოუგო. კომპანიას ნათია წიქორიას თანამდებობაზე აღდგენა და განაცდური ხელფასის, 30 000 ლარის სრულად ანაზღაურება უზენაესმა სასამართლომ დააკისრა. ნათია წიქორიას ინტერესებს სასამართლოში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ იცავდა:

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ დაევალა ნათია წიქორიას თანამდებობაზე აღდგენა და განაცდური ხელფასის, 30 000 ლარის სრულად ანაზღაურება.

2014 წლის 11 ნოემბერს, „თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში“ მუშაობის 6 წლის შემდეგ, ნათია წიქორია კომპანიის დირექტორის ბრძანებით სამსახურიდან გაათავისუფლეს, გათავისუფლების საფუძვლად „სხვა ობიექტური გარემოება“ მიუთითეს, თუმცა დასაქმებულს განთავისუფლების საფუძლის შესახებ წერილობითი განმარტება არ მისცეს. ნათია წიქორიას ინტერესებს სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში ჩვენი იურისტები მაგდა ჯიმშელეიშვილი და თეონა ზაქარაშვილი იცავდნენ“, — ნათქვამია „გამჭვირვალობის“ ინფორმაციაში.

ართმხოს ხეობაში „ავიასერვისის“ ვერტმფრენი ავარიულად დაჯდა

გუშინ, 19 მარტს, ავიაკომპანია „ავიასერვისის“ მიერ ექსპლუატირებული ვერტმფრენი AS 350, რომელიც ასრულებდა ფრენებს სტეფანწმინდის რაიონის ართმხოს ხეობაში, 2700 მეტრ სიმაღლეზე დაფრენისას, ჯერჯერობით დაუდგენელი მიზეზების გამო დაზიანდა. ვერტმფრენის მფრინავი და ბორტზე მყოფი მგზავრები არ დაშავებულან.

მომხდარ საავიაციო შემთხვევას იკვლევს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროებში მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევის ბიურო.

გურიის პოლიციის თანამშრომელი მარიხუანისა და სუბოტექსის მოხმარებისთვის დააკავეს!

„გურიის მოამბის“ ინფორმაციით, გურიის პოლიციის სამხარეო მთავარი სამართველოს თანამშრომელი გენერალურმა ინსპექციამ დააკავა. არსებული ინფორმაციით, ერთ-ერთი უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი სუბოტექსისა და მარიხუანის მოხმარებისთვის არის დაკავებული. შემთხვევა გასულ კვირას მოხდა.

ავტოსაგზაო შემთხვევას პოლონეთში საქართველოს ორი მოქალაქის სიცოცხლე ემსხვერპლა

ავტოსაგზაო შემთხვევას პოლონეთში საქართველოს ორი მოქალაქის სიცოცხლე ემსხვერპლა. შემთხვევა ქალაქების ოპოჩ-ნოსა და კონს-კიეს დამაკავშირებელ გზაზე მოხდა. დაშავდა 5 ადამიანი, ყველა მათგანი ასევე საქართველოს მოქალაქეა. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაშავებულები კონსულმა მოინახულა. წინასწარი ინფორმაციით „ოპელის“ მარკის ავტომობილი, რომელშიც საქართველოს 7 მოქალაქე იმყოფებოდა, გზაზე მოცურდა და საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავ ავტობუსს დაეჯახა. დღეიდან განახლდება იურიდიული სამუშაოები, რის შემდეგაც გარდაცვლილი მამაკაცების სამშობლოში გადმოსვენების პროცედურა დაიწყება.

ბათუმი ტურისტული სეზონის დასახვედრად ემზადება



ბათუმში ტურისტული სეზონისათვის მოსამზადებელი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება გრძელდება. ბათუმის ბულვარში პლაჟის გასწვრივ არსებული სასეირნო ბილიკის ე.წ. „პრომინადის“ კაპიტალური რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

2100 გრძ.მ. ამორტიზებულ და დაზიანებულ მონაკვეთებზე რკინაბეტონის ახალი საფარი დაიგება. სარემონტო სამუშაოები ორი კვირის განმავლობაში გაგრძელდება.

სამშენებლო სამუშაოები მიმდინარე წლის 1 მარტს დაიწყო და აპრილის თვეში დასრულდება. აღნიშნული სამუშაოებს შპს „ვექტორი“ 2015 ახორციელებს, რისთვისაც ბიუჯეტიდან 148 ათას 895 ლარი დაიხარჯება.

პუტინმა გაიმარჯვა... რას მოიმოქმედებს იაპონია?

იაპონიის ხელისუფლებას სურს, გააღრმავოს რუსეთთან ურთიერთობა ვლადიმერ პუტინის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების ფონზე – განაცხადა იაპონიის მთავრობის გენერალურმა მდივანმა ესიხიდე სუგამ.

„ჩვენ გვინდა, კიდევ უფრო გავაღრმავოთ ძალისხმევა იაპონურ-რუსულ ორთიერთობებში“. მან ასევე კომენტარი გააკეთა რუსეთის არჩევნებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ტოკიო გააგრძელებს აქტიურ დიალოგს მოსკოვთან „ჩრდილოეთ ტერიტორიის“ პრობლემასთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, რომ 14 თებერვალს იაპონიის პრემიერმა სინძო აბემ გამოთქვა სურვილი, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მოინახულოს რუსეთი და განახორციელოს შეხვედრები მაღალ დონეზე.

ხუმრობაცაა და ხუმრობაც

TURKISH AIRLINES-ის თვითმფრინავის გაფრენა სტამბულიდან ისრაელის მიმართულებით სამი საათით გადაიდო მგზავრების გამო, რომლებიც თვითმფრინავში ბომბის არსებობის შესაძლებლობაზე ხუმრობდნენ. მგზავრები ისრაელის მოქალაქეები აღმოჩნდნენ.

„სამი მგზავრი ხმამაღლა ხუმრობდა თვითმფრინავში ასაფეთქებელი მოწყობილობაზე. ბორტგამცილებელმა კაპიტანს მიაწოდა ინფორმაცია და გაიცა ბრძანება ფრენის შეჩერების შესახებ. შემდგომ მოხდა მგზავრების ბარგის დათვალიერება და დაკითხვა. როგორც ცნობილია დაკითხვის და შემოწმების შედეგად მათ არაფერი აღმოაჩნდათ და სამსაათიანი დაგვიანებით გაფრინდნენ ისრაელის მიმართულებით“ – წერს გამოცემა.

ტრამპის ქალიშვილი და სიძე კატასტროფას გადაურჩნენ

ვერტმფრენი, რომლის ბორტზეც ამერიკის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ქალიშვილი და სიძე იმყოფებოდნენ, აფრენიდან მალე-ვე ვაშინგტონის აეროპორტში დაბრუნდა.

CNN-ის ინფორმაციით, ამის მიზეზი ის გახდა, რომ ვერტმფრენის ერთი ძრავა მწყობრიდან გამოვიდა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა, თუმცა მედიისთვის ფაქტი მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი.

ტელეარხის წყაროს ინფორმაციით, ივანკა ტრამპი და ჯარედ კუშნერი ვაშინგტონიდან ნიუიორკში მიფრინავდნენ, თუმცა მომხდარის გამო პილოტმა გადაწყვიტა, რეიგანის სახელობის აეროპორტში დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო.

CNN-ის ინფორმაციით, ვერტმფრენი მშვიდობიანად დაეშვა, არავინ დაშავებულა.

გასაცინებელი ა(მ)ბები

მონადირის ნაამბობი

– ერთხელ ჩემს ცნობილ აზორთან ერთად ვნადირობდი, როგორც ყოველთვის, სწრაფად მივაგენი კვალს და წელში გაღუნული სულელივით წინ გავექანე, მაგრამ აზორი მალევე დავკარგე, თუმცა მაინც იმ მიმართულებით წავედი და თითქმის ზედ მივადექი, რკინიგზის გადასასვლელთან იდგა, კუდს აქნევდა და მიზანს მიჩვენებდა.

მივაჩერდი, მივათვალიერ-მოვათვალიერე იქაურობა, თუმცა არცრა ფრინველი არ დამინახავს. მაშინ ფრთხილად მივუახლოვდი და მივხვდი, რომ ჩემს გენიალურ ძაღლს რაღაც ქაღალდისკენ მივყავდი, რომელიც ლიანდაგებზე ეგდო. მივედი, ავიღე და არ იკითხავთ, რა იყო? მენიუ იყო, რომელიც რესტორნიდან მაშინ გადამივარდა, როცა მატარებელმა ჩაიარა და მენიუში პირველ კერძად „ნაკვერჩხალზე შემწვარი ტყის ქათამი“ იყო.

დასკვნა

კოვალსკი დაინიშნა. იმ დღიდან მეგობრებმა შეამჩნიეს, როგორ რადიკალურად გამოიცვალა კოვალსკი. ერთხელაც გარს შემოეხვივნენ და კითხვებზე პასუხის გაცემა მოსთხოვეს:

– შენ რა, ნუთუ მართლა ეგრე ძალიან გიყვარს ზოსია?

– დიახ, ძალიან მიყვარს.

– სმას მაგის გულისთვის დაანებე თავი?

– დიახ.

– ქაღალდის თამაშსაც მაგის გულისთვის შეეშვი?

– დიახ.

– თუთუნსაც მაგის გამო აღარ ეწევი?

– დიახ.

– მაშ, ცოლად რაღატომ არ მოგყავს?

– დავასკვენი, რომ ისეთი თვისებების კაცს, როგორიც მე ვარ, უკეთესი ცოლი მეკუთვნის.

ლოცვა

პატარა განკა ღმერთს ევედრება:

– ღმერთო, მისმინე, არასოდეს ავად არ გახადო დედიკო და მამიკო... და კიდევ ერთსა გთხოვ: ვიტამინები ტკბილ ღვეზელში ჩადე და არა ისპანახში.

იაფად

ახალბედა დანტისტთან პაციენტი მიდის, ექიმმა გასინჯა და ეგ ერთი კბილი, რომელიც გტკივა, ამოსაძრობიაო.

– რა ეღირება? – ეკითხება პაციენტი.

– იცით რა, რადგან დამწყები ექიმი ვარ და კბილის ამოღების გამოცდილება არ მაქვს, საათში 100 ზლოტს ვიღებ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

◎ რას ვჭამთ?

თუ უცბად წასექმსება მოგინდათ...

სწრაფად კვების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობა უდავოდ სოსისია. მათ მომზადებას რამდენიმე წუთი უნდა, არც ძვირი ღირს, მაგრამ მთავარი ისაა, რამდენად სასარგებლოა.

დიეტოლოგები გვარწმუნებენ, რომ სასარგებლოა მხოლოდ ნატურალური ნაკეთობა. მაგალითად, სოსისი დიდი ოდენობით ვიტამინ pp-ს შეიცავს, რომელიც ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას და სისხლში ქოლესტერინის დონეს აქვეითებს. ასევე ბევრია ფოსფორი და ნატრიუმი, მაღალი კალორიულობა კი ორგანიზმს ენერგიით უზრუნველყოფს.

სოსისს დიდად ჰგავს სარდელი, ისინი ერთმანეთისგან ფორმით და ხორცის დამუშავების ტექნიკით განსხვავდებიან: სოსისის დამზადებისას გამოიყენება გადაგრეხილი ხორცი, სარდელის დამზადებისას

კი – დაკეპილი. ამის გამო სოსისს უფრო ნაზი კონსისტენცია აქვს.

თეორიულად, სოსისის უმად ჭამაც შეიძლება, ოღონდ ამ დროს მის ხარისხში ასპროცენტიანად უნდა იყოთ დარწმუნებული, მაგრამ, პრაქტიკა მოწმობს, რომ სოსისი შეიძლება პათოგენურ ბაქტერიებსა და მიკროორგანიზმებს შეიცავდეს, ამიტომაც მათი ისევ მოხარშვა სჯობს.

სოსისის არჩევისას ყურადღება მიაქციეთ მის ფერს – ხასხასა ელფერები ხორცში საღებავების არსებობის ნიშანია. პროდუქტი თანაბარი ფერისა უნდა იყოს, ნატურალურ სოსისს გლუვი და მშრალი ზედაპირი აქვს. თითის დაჭერისას და აშვების შემდეგ მან პირვანდელი ფორმა უნდა მიიღოს. თუკი მოღუნვის დროს გატყდება, იცოდეთ, რომ ის ბევრ სახამებელს შეიცავს. მათი შეფუთვა ჰერმეტული და შიგნიდან დაუნამავი უნდა იყოს, შენახვის მაქსიმალური ვადა კი 14 დღეა.

დალი ხუნდაძე

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4457; ევრო - 3.0158;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4159;
100 რუბლი - 4.2479; თურქული ლირა - 0.6250;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4442;
1000 სომხური დრამი - 5.0941.

ამინდი 20 მარტისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +4, დღე +25
მთიანი რაიონები - ღამე 0, დღე +22
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +10, დღე +28
მთიანი რაიონები - ღამე +4, დღე +24
თბილისი: ღამე +8, დღე +24

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge